პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 221 (11832) | ხუთშაბათი, 22 სექტემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

20 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ჰარლემში ინახულა კუბის დელეგაციის მეთაური, კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო. ხურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი და ფიდელ კასტრო ოტელ „ტერეზაში“. საკადესის ფოტოქრონიკა, (სურათი მიღებულია საკადესის ფოტოტელეგრაფით).

# ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა ფიდელ კასტროსთან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება:

20 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია ჰარლემში (მანჰეტენის ზანგთა რაიონი) სასტუმრო „ტერეზაში“ კუბის დელეგაციის მეთაურს ფიდელ კასტროს.

როგორც ცნობილია, ფიდელ კასტრო იძულებული იყო დამდგარიყო ამ პატარა სასტუმროში, რომელიც დაშორებულია ცენტრს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობას, მას შემდეგ, რაც ამერიკის ხელისუფლებმა და ნიუ-იორკის უდიდესი სასტუმროების პატრონებმა გამოიჩინეს სტუმრის უმაგალითო უპატივცემლობა, მოსთხოვეს ნომრებში საზღაპრო ქირა, ხოლო ბოლოს უარი უთხრეს კუბის რესპუბლიკის დელეგაციას დაბინავებაზე.

გულითადად და ძმურად ჩაიარა საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურების ამ შეხვედრამ. ნ. ს. ხრუშჩოვმა და ფიდელ კასტრომ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო მდგომარეობის მთელი რიგი პრინციპული საკითხებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი სესიის შესახებ, უდიდესი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნეს, რომ მათი შეხედულებანი ამ საკითხზე ერთმანეთს ემთხვევა. ფიდელ კასტრომ მხურვალე მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს კუბელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, იმისათვის, რომ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა შესაძლოდ მიიჩნია ვიზიტით მისულიყო მასთან ჰარლემში მის უბრალო რეზიდენციაში. შეხვედრის დასასრულს ფიდელ კასტრომ წარუდგინა ნ. ს. ხრუშჩოვს კუბის დელეგაციის წევრები, კუბის რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწეები, რომლებიც ნიუ-ბორკში ჩავიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე.

შეიტყეს რა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია კასტროს, ასობით ადამიანი შეიკრიბა სასტუმრო „ტერეზას“ ახლოს და მხურვალედ მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ფიდელ კასტროს. ამერიკის რადიოს მიკროფონთან ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ იგი ძალიან კმაყოფილია კუბის ეროვნულ გმირთან — ფიდელ კასტროსთან სასიამოვნო შეხვედრითა და საუბრით.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ვწვეოდი ამ გმირ ადამიანს, რომელმაც აღმართა დროშა კუბელი ხალხის ბრძოლისა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ღარიბთა ბრძოლისა მდიდართა წინააღმდეგ და უზრუნველყო მშრომელი ხალხის გამარჯვება. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ მიესალმებიან ამ გამარჯვებას და უდიდეს წარმატებებს უსურვებენ კუბელ ხალხს და მის ეროვნულ გმირს ფიდელ კასტროს.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

**ნიუ-იორკი,** 20 სექტემბერი. (საკადესი). 14 საათსა და 50 წუთზე ნიუ-იორკის დროით (21 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით) გენერალური ასამბლეის XV სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი მივიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში. იგი შედის სხდომათა დარბაზში, სადაც მას მაშინვე გარს ეხვევა უამრავი კორესპონდენტი. ნ. ს. ხრუშჩოვი ღიმილით გულითადად მიესალმა ვ. გომულკას, ი. კადარს, სხვა დელეგატებს და დაიკავა ადგილი სსრ კავშირის დელეგაციის წინ. ყველა სატელევიზიო კამერა მიმართულია ნ. ს. ხრუშჩოვისაკენ.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი ადგა თავისი ადგილიდან და წავიდა დარბაზის მეორე ბოლოში, სადაც მიესალმა კუბის დელეგაციის მეთაურს ფ. კასტროს. ნ. ს. ხრუშჩოვის შემდგომ დარბაზის ამ ნაწილში გაეშურა ფოტოკორესპონდენტთა დიდი მასა, რომლებიც სწრაფად იღებდნენ სურათებს თავიანთი გაზეთებისათვის.

15 საათსა და 33 წუთზე ნიუ-იორკის დროით (22 საათსა და 33 წუთზე მოსკოვის დროით) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიამ მუშაობა დაიწყო.

სესიას ესწრებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 82 ქვეყნის დელეგაციები.

სესიის სხდომათა დარბაზში არიან დელეგაციები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა ა. ნოვოტნის მეთაურობით, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა გ. გეორგიუ-დეჟის მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა ვ. გომულკას მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა იანოშ კადარის მეთაურობით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ა. ტ. ჟივკოვის მეთაურობით. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობს მ. შეჰუ, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას — ი. ტიტო. კუბის რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობს ფ. კასტრო. აფრიკისა და აზიის ბევრი ქვეყნის დელეგაციების ხელმძღვანელები არიან მთავრობათა მეთაურები. მოელიან ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოს, გვინეის პრეზიდენტის სეკუ ტურეს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნასერის და სახელმწიფოთა და მთავრობათა სხვა მეთაურების ჩამოსვლას.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას სესიაზე მეთაურობს სახელმწიფო მდივანი ჰერტერი, ინგლისის დელეგაციას — საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიუმი.

სესიას ესწრება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ორი ათასი წარმომადგენელი.

ტრადიციით სესია გახსნა გენერალური ასამბლეის წინა XIV სესიის თავმჯდომარემ — პერუს დელეგატმა ბელაუნდემ, რომელმაც წარმოთქვა მოკლე შესავალი სიტყვა.

შემდეგ ბელაუნდეს წინადადებით ასამბლეამ დაამტკიცა სამანდატო კომისია ალჟირ-რიგის, ჰაიტის, მაროკოს, ახალი ზელანდიის, ფილიპინების, ესპანეთის, საბჭოთა კავშირის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლთა შემადგენლობით.

შემდეგ 46 ხმით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის თავმჯდომარედ აირჩიეს ირლანდიის წარმომადგენელი ბოლენდი. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ნოსეკმა კენჭისყრაში 25 ხმა მიიღო.

გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო წევრებად კამერუნი და ტოგოს რესპუბლიკა. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მთელმა რიგმა დელეგაციებმა აცნობეს, რომ არსებულ ვითარებაში ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მალის ფედერაციის მიღების წინააღმდეგი არიან. ამიტომ, გამოაცხადა თავმჯდომარემ, მალის მიღების საკითხი გადადებულია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად მიღებული არიან მალგაშის რესპუბლიკა, სომალი, კონგოს რესპუბლიკა დედაქალაქ ლეოპოლდვილით. თავმჯდომარე ამბობს, რომ კონგო უკვე იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განხილვის საგანი. ამ ქვეყნის კონსტიტუციური და პოლიტიკური მდგომარეობა, განაცხადა მან, კვლავ გაურკვეველია. თავმჯდომარეს წინადადება შეაქვს, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე კონგოს რესპუბლიკის წარმომადგენლობის საკითხი გადასცენ სამანდატო კომისიას.

გენერალური ასამბლეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად იღებს დაგომეის რესპუბლიკას, ნიგერის, ზემო ვოლტის რესპუბლიკებს, სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკას, ჩადის რესპუბლიკას, კონგოს დედაქალაქ ბრაზავილით, გაბონს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას და კვიპროსის რესპუბლიკას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრების დელეგაციები იკავებენ თავიანთ ადგილებს.

ცარიელი რჩება ადგილები კონგოს რესპუბლიკისა დედაქალაქ ლეოპოლდვილით და სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკისა, რომლის დელეგაციაც ჯერ არ ჩამოსულა ნიუ-იორკში.

შემდეგ დაიწყო დელეგაციათა მეთაურების გამოსვლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუვ დე მიურვილემ ქება შეასხა საფრანგეთს პოლიტიკას თავის ყოფილ კოლონიათა მიმართ, რომელთა შორის, მისი სიტყვით, სრული თანხმობაა. მან ფარისევლურად გამოთქვა სიხარული იმის გამო, რომ აფრიკის ამ ხალხების „ევოლუციის ხანგრძლივი პროცესი“ დამოუკიდებლობის გზაზე დასასრულს უახლოვდება. საფრანგეთის დელეგატს ერთი სიტყვაც არ უთქვამს ალჟირზე, სადაც საფრანგეთი მეხუთე წელია აწარმოებს კოლონიურ ომს, და რომლის საკითხიც შეტანილია გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის წინასწარ დღის წესრიგში.

შემდეგ გამოვიდა ტუნისის წარმომადგენელი მონჟი სლიმი. იგი მიესალმა ახალი სახელმწიფოების, კერძოდ აფრიკის სახელმწიფოების მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაეტანო მარტინომ და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა ჰიუმმა ილაპარაკეს თავიანთ მთავრობათა „სიყვარულზე“ ყოფილი კოლონიური ხალხებისადმი.

შემდეგ გამოვიდნენ ცეილონისა და პერუს წარმომადგენლები. ცეილონის დელეგატი კორეა მიესალმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ წევრებს და განაცხადა, რომ აფრიკის განთავისუფლებისათვის მოძრაობა ჩვენი საუკუნის ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენაა. მან რწმენა გამოთქვა, რომ აფრიკის ყველა სახელმწიფო უახლოეს მომავალში დამოუკიდებელი გახდება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოჯახში შევა.

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა საუდის არაბეთის დელეგაციის მეთაურმა შუქეირიმ. ჩვენ, თქვა მან, ვცხოვრობთ ღირსშესანიშნავ მომენტში, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემოდიან აფრიკის იმ ქვეყნების დიდი ჯგუფი, რომლებმაც ბრძოლით მოიპოვეს დამოუკიდებლობა. ეს სახელმწიფოები შემოდიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისე, რომ ჯერ კიდევ არ მოუშუშებიათ ჭრილობები, არ შეშრობიათ სისხლი და ცრემლი. მათ ჩვენს ორგანიზაციაში შემოაქვთ ის წონასწორობა, რომელიც ესოდენ სჭირდება ამ ორგანიზაციას.

აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად, თქვა მან, სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. მთელი აფრიკა თავისუფალი უნდა გახდეს. ინგლისი, საფრანგეთი და პორტუგალია უნდა წავიდნენ აფრიკიდან და მისცენ მისი სიმდიდრენი ამ კონტინენტის ხალხებს.

საბჭოთა კავშირის სახელით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ წევრებს მიესალმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. საბჭოთა მთავრობას, განაცხადა მან, 14 ახალი წევრის მიღება დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია. ყველა ამ ქვეყანამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, გამოიარა მძიმე პერიოდი კოლონიური ჩაგვრისა, რომლისაგანაც ისინი ეს-ეს არის განთავისუფლდნენ. ამ ქვეყნებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლა იმის საშუალებაა, რომ აღმოფხვრან კოლონიალიზმის ნაშთები. ახალი სახელმწიფოები, აღნიშნა ა. გრომიკომ, სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან მშვიდობის დაცვით სრული თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების საფუძველზე. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნა მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 14 ახალი სახელმწიფოს მიღება, რომელთაგან 13 სახელმწიფო აფრიკის ქვეყნებია, ღირსშესანიშნავი მოვლენაა, რაც ასახავს კაცობრიობის ცხოვრებაში მომხდარ დიდ ცვლილებებს.

ამ ბოლო დრომდე აფრიკის რუკა, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, კოლონიურ სამფლობელოთა რუკა იყო. ახლა აფრიკის კონტინენტი შლის თავის მძლავრ მხრებს და კოლონიური სისტემა იმსხვრევა. შორს არ არის ის დღე, როცა თავისუფლების განთიადი ამობრწყინდება აფრიკის ცაზე. უნდა დაიბეჭდოს ამ კონტინენტის ახალი რუკა და მასზე მიწა-წყალი აღინიშნოს როგორც ხალხის კუთვნილი მიწა-წყალი.

მოვლენათა ასეთმა განვითარებამ, თქვა ა. გრომიკომ, არ შეიძლება არ გამოიწვიოს იმათი კმაყოფილება, ვინც თანასწორუფლებიანობის პრინციპებს იცავს. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული. ახლოვდება დრო, როცა ხალხები მოიპოვებენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას და როგორც თანასწორნი დაიკავებენ თავიანთ ადგილს. მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვება მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მთავარი ამოცანა ის არის, რომ მიღწეულ იქნას სრული დამოუკიდებლობა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიური დამოუკიდებლობა. კოლონიური სახელმწიფო ე ბ ი, თუმცა მზად არიან შეიგდნენ, ცდილობენ შეცვალონ ბატონობის წინანდელი ფორმები ახალი ფორმებით, რომლებიც ცოტა რამეთი განსხვავდება წინანდელი ფორმებისაგან.

ცხოვრებას მოაქვს იმის ახალი მაგალითები, განაცხადა გრომიკომ, თუ როგორ იძლევიან ახალი სახელმწიფოები, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის შესანიშნავ ნიმუშებს. ცუდი არ იქნება, თუ მათს მაგალითს მიბაძავენ ძველი ქვეყნები. საიდუმლოება როდია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებანი მათ არ მოსწონთ. ვინც მიჩვეულია თავისი ნება-სურვილის სხვისთვის თავსმოხვევას, უკვე მწუხარედ ოხრავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემადგენლობის გაფართოების გამო.

ყველაზე, ვინც იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრული ურთიერთობისათვის, მხოლოდ უნდა ა ხ ა რ ე ბ დ ე ს ჩვენს ორგანიზაციაში ახალი სახელმწიფოების მიღება. საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას. თავიანთ სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლაში კოლონიურმა ხალხებმა ყოველთვის უნდა იქონიონ საბჭოთა კავშირის დახმარებისა და მხარდაჭერის იმედი.

საბჭოთა კავშირი სულით და გულით მიესალმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ წევრებს და რწმენას გამოთქვამს, რომ ისინი თავიანთ დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საერთო საქმეში. გრომიკოს უკანასკნელმა სიტყვებმა ხანგრძლივი ტაში გამოიწვია.

შეერთებული შტატების წარმომადგენელი სახელმწიფო მდივანი ჰერტერი, მიესალმა რა ახალ წევრებს, მაღალფარდოვნად ლაპარაკობდა თავისუფლების სიკეთეზე და იმაზე, რომ ამ თავისუფლების მოპოვება ახალგაზრდა სახელმწიფოებს აკისრებს „პასუხისმგებლობას ხალხთა ოჯახში განვითარებისათვის“. მაგრამ ამერიკის წარმომადგენელს ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმაზე, რომ საჭიროა აფრიკის ხალხთა საბოლოო განთავისუფლება კოლონიური ბატონობის უღლისაგან და იმაზე, თუ რა პოზიცია უჭირავთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხში.

ფინეთის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ჩამოვიდა სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკის დელეგაცია, რომელმაც თავისი ადგილი დაიკავა სხდომათა დარბაზში. ამით სხდომა დამთავრდა.

**ნიუ-იორკი,** 20 სექტემბერი. (საკადესი). სხდომის დაწყებამდე ორი წუთით ადრე ნ. ს. ხრუშჩოვი, უამრავი ფოტოგრაფის თანხლებით, შემოვიდა დარბაზში და დაიკავა თავისი ადგილი. საბჭოთა დელეგაციის მეთაურის პუნქტუალობამ კორესპონდენტთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტის გამო, რომ დელეგატთა მესამედი ჯერ კიდევ არ მისულიყო სხდომაზე. საღამოს 8 საათსა და 55 წუთზე ადგილობრივი დროით (21 სექტემბრის დილის 3 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით) თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საღამოს სხდომა დაიწყო.

სიტყვა ეძლევა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურს პრეზიდენტ ა. ნოვოტნის. მე დავალებული მაქვს, განაცხადა ა. ნოვოტნიმ, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით მივესალმო მთელი რიგი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების, განსაკუთრებით აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოების მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ა. ნოვოტნიმ სინანული გამოთქვა, რომ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის ქვეყნებში დღემდე ჯერ კიდევ კოლონიზატორები ბატონობენ და ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ დაიკავონ თანაბარი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ჩვენ იქვე არა გვაქვს, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ უკვე ძალე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა იდღეესასწაულებს თავის საბოლოო გამარჯვებას კოლონიალიზმზე, რომელიც კაცობრიობის სამარცხვინო მოვლენაა.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა პოპოვიჩმა მიულოცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ წევრებს და განაცხადა, რომ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აფრიკის ხალხები მარტო არ არიან. მათ მხარს უჭერენ მთელი რიგი ქვეყნები, მათ შორის იუგოსლავია. თავისი სიტყვის დასასრულს იუგოსლავიის დელეგატმა გააკეთა განცხადება, რომელიც, როგორც მან თქვა, თუმცა არ შეეხება ახალი წევრების მიღების საკითხს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იუგოსლავიისათვის, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის. საქმე ის არის, თქვა პოპოვიჩმა, რომ შეერთებულმა შტატებმა მუშაობის არანორმალური პირობები შეუქმნეს იუგოსლავიის დელეგაციას და სხვა ქვეყნების მთელ რიგ დელეგაციებს. ამასთან დაკავშირებით, განაცხადა პოპოვიჩმა, მე შესაბამისი წარდგინებით მივმართე სახელმწიფო მდივანს ჰერტერს და ვთხოვე, რომ ეს ეცნობებინა შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის. პოპოვიჩმა ხაზი გაუსვა იმას, რომ აბსოლუტურად შეუწყნარებელია, რომ შეერთებული შტატები მუშაობის არანორმალურ პირობებს უქმნიან იმ დელეგაციებს, რომლებიც მონაწილეობენ გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში.

მიესალმა რა ახალი წევრების მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ლიბანის დელეგატმა ფუად ამუნმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი კოლონიური ქვეყნის სუვერენული უფლებები დღემდე არ არის აღიარებული. ფუად ამუნმა თქვა, რომ ევროპის დასავლეთი ქვეყნების და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარება მიმდინარეობდა აფრიკისა და აზიის ინტენსიური ექსპლოატაციის ხარჯზე, მაშინ როცა ამ კონტინენტების ხალხები დღემდე იტანჯებიან სიღატაკისა და უწიგნურობის გამო.

შემდეგ გამოვიდნენ პორტუგალიის, პაკისტანის, ლიბერიის წარმომადგენლები. როცა გამოვიდა ჩანკაიშელი, რომელიც არავის წარმომადგენელი არ არის, საბჭოთა დელეგაციამ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით მთელ რიგ სხვა დელეგაციებთან ერთად დატოვა სხდომათა დარბაზი.

მალე საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი თავის რეზიდენციაში წავიდა, ხოლო საბჭოთა დელეგაციის წევრები დაბრუნდნენ დარბაზში, სადაც გრძელდებოდა დელეგატების გამოსვლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ახალი სახელმწიფოების მიღების გამო. გამოვიდნენ ეთიოპიის, პაკისტანის, გვინეის, სუდანის, საბერძნეთის, თურქეთის, განის, მაროკოს, ინდონეზიის წარმომადგენლები.

ესპანეთის წარმომადგენლის გამოსვლით დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობის პირველი დღე.

**ნიუ-იორკი,** 21 სექტემბერი. (საკადესი). 10 საათსა და 45 წუთზე ნიუ-იორკის დროით (17 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში მოვიდა დილის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.

ნ. ს. ხრუშჩოვი კვლავ სესიის მონაწილეთა და პრესის მრავალი წარმომადგენლის ყურადღების ცენტრშია, რომლებიც აშუქებენ მისი მუშაობის მსვლელობას. კორესპონდენტები და ფოტოგრაფები განუწყვეტლივ დაჰყვებიან მას, სადაც უნდა წავიდეს იგი...

საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური შეხვდა გენერალური ასამბლეის სხდომის დარბაზში და ჯდება საბჭოთა დელეგაციის მაგიდასთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით შეიცვალა სხდომათა დარბაზში დელეგაციების განლაგების წესი. საბჭოთა დელეგაციის მაგიდა ახლა აღმოჩნდა დარბაზის ცენტრში. ნ. ს. ხრუშჩოვთან მიდიან ბევრი სხვა დელეგაციის მეთაურები. ინდოეთის დელეგაციის მეთაური მენონი მიესალმება ნ. ს. ხრუშჩოვს და ესაუბრება მას. შემდეგ ისინი ერთად იღებენ ფოტოსურათს. ნ. ს. ხრუშჩოვი ხანგრძლივად ელაპარაკება იუგოსლავიის დელეგაციის წევრებს, რომლის მაგიდა ახლა საბჭოთა დელეგაციის მაგიდის გვერდითაა.

სხვებთან ერთად საბჭოთა მთავრობის მეთაურთან მიდიან ბოლივიის, ურუგვაისა და სომალის რესპუბლიკის დელეგაციების მეთაურები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბოლივიის მუდმივ წარმომადგენელ ტამაიოსთან ნიკიტა სერგის-ძეს ჰქონდა მოკლე საუბარი. მოდით ვიკითხოთ, უთხრა ნ. ს. ხრუშჩოვმა. თქვენ ბევრი კალა გაქვთ. ჩვენ შეგიძლია ვიყიდოთ იგი და თქვენ მოგაწოდოთ ჭოწყობილობა ამ მადნის ამოსაღებად და დასამუშავებლად. ყველაფერი ეს კარგია, უპასუხა ტამაიომ, მაგრამ ჩვენ სუსტად განვითარებული ქვეყანა ვართ. ეს ბოლივიის ბრალი კი არა, არამედ სხვების ბრალია, შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა. ტომაიომ საკმაო აბნეულად უპასუხა, ეს მართალიაო.

11 საათსა და 07 წუთზე სესიამ მუშაობა დაიწყო. დილის სხდომაზე გამოდიან იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც მხოლოდ გუშინ გახდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები. პირველმა სიტყვა აიღო კამერუნის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შარლ ოკალამ. მან მადლობა გადაიხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი ქვეყნის მიღებისათვის. ახალგაზრდა სახელმწიფოთა ფიქრი, თქვა მან, ახლა მიპყრობილია იმათდამი, ვინც დღემდე კიდევ იტანჯება კოლონიური ბატონობით. დასასრულ კამერუნის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კამერუნელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა და ესწრაფვოდეს მშვიდობას.

შემდეგ გამოვიდნენ ტოგოს რესპუბლიკისა და მალგაშის რესპუბლიკის წარმომადგენლები. მალგაშის რესპუბლიკის წარმომადგენელმა რაკოტომალამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის ქვეყანას საჭიროდ მიაჩნია პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მოიპოვოს ეკონომიური დამოუკიდებლობა.

სომალის რესპუბლიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 1960 წელი ისტორიაში შევა როგორც ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების შედეგად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მნიშვნელოვანი გაფართოების წელი. მან განაცხადა, რომ მისი ქვეყანა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნების განხორციელებაში.

საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე დაგომეის რესპუბლიკის, ნიგერის რესპუბლიკისა და ზემო ვოლტის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. მათ პირობა დადეს, რომ ძალებს არ დაიშურებენ იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დასახა და თავიანთ წვლილს შეიტანენ მის მუშაობაში.

სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა იმ სახელმწიფოთა დელეგაციებს, რომლებმაც დაასახელეს მისი ქვეყნის კანდიდატურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. ჩადის რესპუბლიკის წარმომადგენელმა პირობა დადო, რომ მისი ქვეყანა თავის მცირე წვლილს შეიტანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში.

სხდომის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი სხდომათა დარბაზიდან გავიდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მანქანით თავის რეზიდენციაში წავიდა.

მას შემდეგ, რაც გამოვიდნენ დელეგატები კონგოს რესპუბლიკის, რომლის დედაქალაქია ბრაზავილი, გაბონის რესპუბლიკის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის და კვიპროსის რესპუბლიკისა, სესიის თავმჯდომარემ გენერალური ასამბლეის დილის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

# რეისზე—სრულყოფილი ელმავლები!



ორ წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის ალაყაფის კარიდან გავიდა პირველი ქართული ელმავალი.

ელმავლისა კი არა, სულ პატარა ნაწილის უნაკლოდ გაკეთებაც ძნელია, როდესაც საქმეს პირველად ჰკიდებ ხელს. გასაგებია, რომ ჩვენ ვღელავდით, გვაფიქრებდა, თუ რას იტყოდნენ ექსპლოატაციის მუშაკები ჩვენი ხელიდან გამოსულ ლოკომოტივზე? იქნებ უქმად ჩაიარა შრომამ?

მაგრამ შიში უსაფუძვლო გამოდგა. ქართული მარკის რვაღერძიანმა სამაგისტრალო ელმავლებმა პირველი დღიდანვე მძლავრი და სანდო ლოკომოტივების სახელი მოიხვეჭეს.

არაერთი მაღლობის წერილი მივიღეთ. მაგრამ მოდიოდა რეკლამაციებიც. ეს კი ყველაზე დამაფიქრებელი იყო საწარმოსათვის. თუმცა იქ, სადაც რეკლამაციებს დროზე ეხმაურებიან და გულდასმით სწავლობენ, ეს პირიქით ეხმარება საწარმოთა კოლექტივებს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. სწორედ ასე იყო ჩვენს ქარხანაშიც. ყოველ რეკლამაციას ქარხნის კოლექტივი სწრაფად და საქმიანად ეხმაურებოდა, სწავლობდა დეფექტების გამომწვევ მიზეზებს. ამავე დროს ელმავალმშენებლები მარტო მიწერ-მოწერით კავშირს როდი ვჯერდებოდით. ელმავლების სერიულად გამოშვების პირველი დღიდანვე ქარხნის კოლექტივმა მჭიდრო კავშირი დაამყარა იმ დეპოებთან, რომლებიც ეწევოდნენ ქართული ელმავლების ექსპლოატაციას. იქ ხშირად ვაგზავნიდით ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებს, რომლებიც ადგილზევე სწავლობდნენ ექსპლოატაციის მუშაკთა შენიშვნებსა და სურვილებს.

საქარხნო მარკის ღირსებისათვის ზრუნვას ამაოდ არ ჩაუვლია. გასულ წელს ტომსკის რკინიგზის ტაიგის დეპოში მოწყობილ კონფერენციაზე ექსპლოატაციის მუშაკებმა ერთხმად აღიარეს თბილისური ელმავლების მაღალი ხარისხი.

ასევე მაღალი შეფასება მისცეს ქართულ ელმავლებს სსრ კავშირის გზათა სამინისტროს წარმომადგენლებმა კონფერენციაზე, რომელიც გასულ წელს შედგა ნოვოჩერკასკში. ორივე კონფერენციაზე განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ქარხანა ყოველთვის სწრაფად ეხმაურება დეპოებსა და სამინისტროს ყველა შენიშვნასა და მოთხოვნას.

მაგალითად, ტაიგის დეპოს კოლექტივის წინადადებით ელმავლებზე გაკეთდა მზის საწინააღმდეგო ფარები, შეიცვალა ქვაშისაყრელი მილების კრონშტეინები, გაძლიერებულ იქნა გამწვავი ძრავების თოვლსაცავი გარსაცმები და სხვ.

ელმავლების ხარისხის გაუმჯობესებაში დიდი წვლილი შეიტანა ტექნიკური პროგრესისათვის ყოველღიურმა ბრძოლამ. პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქარხანაში მრავალი ღონისძიება განხორციელდა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის, გაშვებულ იქნა ნაკადური ხაზები, დაიდგა ბევრი სპეციალური ჩარხი და დანადგარი, დაინერგა მაღალი წარმადობის ათობით რთული ტიფური. ტექნიკურმა პროგრესმა საშუალება მისცა ქარხნის კოლექტივს ადგილზევე მოეწყო ელმავლის ბევრი დეტალის წარმოება. მაგალითად, ათვისებულ იქნა ელმავლის პნევმატური კონტაქტორების, ჯგუფური გადამრთველების, დამხმარე ჯაჭვის სწრაფმოქმედი გამომრთველის, გამოშვება, კომპრესორის ძრავის კორპუსის შედუღებით დამზადება. ძრავის კორპუსის შედუღების წესით დამზადებისას 164 კილოგრამით ნაკლები ლითონი იხარჯება და ამ კვანძის თვითღირებულება 455 მანეთით მცირდება.

**გავუფრთხილდეთ საქარხნო მარკის ღირსებას**

მაგრამ მიუხედავად მიღწეულისა, თბილისურ ელმავალს ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებები. სწორედ ამის შესახებ ითქვა მოწინავე რკინიგზელთა წერილში, რომელიც ამ თვეახვარის წინათ დაიბეჭდა გაზეთ „გუდოკში“.

ქარხნის კოლექტივმა გულდასმით შეისწავლა წერილში მოყვანილი ფაქტები. ამჟამად თბილისელი ელმავალმშენებლები მთელი ენერგიით მუშაობენ, რათა მოკლე ხანში აღმოფხვრან ყველა დეფექტი.

საწარმოს კონსტრუქტორთა ჯგუფმა დაამუშავა რადიოგადაცემისა და ტელეგადაცემის ხელმშემლელი მიზეზების სალიკვიდაციო მოწყობილობის სქემა, რაც გააუმჯობესებს სქემის მუშაობას, დიდი რაოდენობით დაზოგავს სპილენძის ნაგლინს. დამუშავებულია ელმავალზე სანიტარული კვანძის მოწყობის პროექტი. ამ ღონისძიების განხორციელება დიდად გაუმჯობესებს ბრიგადის მუშაობის პირობებს.

ქარხნის ძალებით დამუშავებულია სერიული სამაგისტრალო ელმავლის H-8-ის მოდერნიზაციის პროექტი. მოდერნიზებული ელმავალი შეიქმნება საბჭოთა და უცხოეთის ელექტრომავალმშენებლობის მოწინავე გამოცდილების ბაზაზე და აღმოფხვრილ იქნება ყველა ის ნაკლოვანება, რაც გამოვლინდა სერიული ელმავლების ექსპლოატაციის დროს.

ელმავლის ძარა კეთდება მზიდი ჩარჩოთი შეუერთებელი ურიკით, რაც აუმჯობესებს ლოკომოტივის მუშაობას მოსახვევებში. სერიულ ელმავლებთან შედარებით მისი სიმძლავრე გაიზრდება 25 პროცენტით, ხოლო სიჩქარე — საათში 110 კილომეტრამდე. ახალი კონსტრუქციის ელმავალი გაცილებით მძიმე წონის შემადგენლობებს გადიდებული სიჩქარით წაიყვანს.

დეპოების კოლექტივებთან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი რომ უზრუნველყოთ, გადავწყვიტეთ ყოველწლიურად მოვიწვიოთ კონფერენციები იმ დეპოების წარმომადგენლებთან ერთად, სადაც წარმოებს თბილისური ელექტრომავლების ექსპლოატაცია. ეს ხელს შეუწყობს ნაკლოვანებების სწრაფად გამოვლინებას და აღმოფხვრას.

ერთი წუთითაც არ წყდება შემოქმედებითი შრომა ქარხნის საამქროებში. ჩვენი ელმავალმშენებლები ენერგიას და ცოდნას არ იშურებენ იმისათვის, რომ პირნათლად გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულებები, ვადამდე შეასრულონ შვიდწლედის დავალება, კიდევ უფრო მაღლა ასწიონ საქართველოს მარკის ღირსება. ფოლადის მაგისტრალებზე გაუშვან რაც შეიძლება მეტი, მსოფლიოში ყველაზე მძლავრი, ყველაზე სწრაფი, ყველაზე საუკეთესო ხარისხის ქართული მარკის ელექტრომავლები.

**ი. ზერეკიძე,**
თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის უფროსი.

---

**ჭიათურა.** ბევრი ახალი საცხოვრებელი სახლი შენდება ქართული მარგანეცის ქალაქში. მშენებლებს შორის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს ახალგაზრდა ინჟინერი ქალი ლიანა გოცაძე. გასული წლის ბოლოს იგი ბინათმშენებლობის სამმართველოს პირველი უბნის ოსტატად იქნა დანიშნული. წინათ ჩამორჩენილი უბანი ამჟამად ერთ-ერთი მოწინავეა და მისი მშენებლები საწარმოო დავალებას სისტემატურად 120 და მეტი პროცენტით ასრულებენ.

**სურათზე:** ინჟინერი მშენებელი ლიანა გოცაძე.
ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

---

# რაღაა იგი სინათლე...

**ჩოჩხათი** ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია ლაჩხუთის რაიონში. გვერდით ჩაუდის მდინარე სუფსა. გორაკებზე გაშენებულ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, ვენახებსა და ხეხილის უხვმოსავლიან ბაღებშია ჩაფლული გურიის ეს. მდიდარი სოფელი.

სოფლის საბჭოს ტერიტორიაზე მოთავსებულია ოთხი მძლავრი სასოფლო სამეურნეო არტელი — გულიანის, ჩოჩხათის, ხორეთ-მოედნის და შრომისუბნის კოლმეურნეობები. საშვილიშვილო საქმე გააკეთეს ამ კოლმეურნეობებმა — სოფელი ილიჩის ნათურებით გაანათეს.

ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინათ. მას შემდეგ ბევრი ზამთარ-ზაფხული გავიდა. ელექტროგაყვანილობის ხის ბოძები დალპა.

შარშან დეკემბერში მშენებლობის სამინისტროს სპეციალიზებული ტრესტის № 7 „საქსოფლელექტრომშენის“ მმართველ მ. თავდგირიძის განკარგულებით ბოძებისათვის საჭირო ხე-ტყე გამოსყიდეს, მაგრამ ჯერჯერობით განკარგულება ქაღალდს არ გასცილებია.

საყურადღებოა შემდეგი: „საქენერგოს“ სუფსის ქვესადგურიდან ელექტროენერგიას იღებს 9 კოლმეურნეობა, ხოლო უშუალო აბონენტად გაფორმებულია ჩოჩხათის კოლმეურნეობა, რომელიც სხვა კოლმეურნეობებს სახელით ახდენს ანგარიშსწორებას „საქენერგოსთან“. თანხების ჩარიცხვა ხდება ჯერ ჩოჩხათის კოლმეურნეობის ანგარიშზე (?!) აქედან „საქენერგოს“ უწყების სხვადასხვა ორგანიზაციაზე... ეს კი იწვევს მთელ რიგ გაუგებრობებს.

საკვირველია, რომ ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ვ. მეტრეველი წინადადებას აძლევს „საქენერგოს“ ენერგოგასაღების დირექტორს ამხ. გ. ბულაშვილს ცალ-ცალკე გააფორმოს ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან და ლიკვიდაცია უყოს ამ აღმაშფოთებელ ფაქტს, მაგრამ ამაოდ.

— არ ვიცით, როდემდის გაგრძელდება ეს დავა, — გვეუბნება ს. ჩოჩხათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. როყვა, — ფაქტიურად დღემდე არავითარი ზომება არ მიუღიათ ჩვენს არაერთგზის თხოვნაზე. ამას წინათ სოფელში ჩამოვიდა „საქმთავარსოფლელექტროს“ წარმომადგენელი ო. გოგიჩაშვილი, შეადგინა აქტები ბოძების უვარგისობაზე, წავიდა და შემდეგ აღარაც გამოჩენილა.

უცნაური და აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ამ დღეებში „საქსოფლელექტროს“ წარმომადგენელმა სუფსის ქვესადგურიდან ჩოჩხათის ფოსტაში დარეკა: „გადაეცით ხელმძღვანელებს, რომ ბოძების უქონლობის გამო დენი გამორთულია“.

ამაზე მეტი უცნაურობის წარმოდგენა შეუძლებელია. სოფელ ჩოჩხათის გამორთვით დენი შეუწყდათ გულიანის, ხორეთ-მოედნის, შრომისუბნის, ნინოშვილის, ღრმაღელის, წყალწმინდისა და სხვა კოლმეურნეობებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ხაზზე მუშაობს 7 სახერხი, 12 ელექტროწისქვილი, მეცხოველეობის რამდენიმე მექანიზებული ფერმა, სოფლის საავადმყოფოები, კინოდანადგარები.

— ოთხი წლის წინათ განათდა ჩვენი სოფელი, შარაგზები, ოჯახები — ამბობს 80 წლის მოხუცი კოლმეურნე მოსე გეჯაბიძე. — ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ცხოვრება ახლებურად გარდაქმენით. ახლა კი უცნაური ამბავი მოხდა — დენი წაგვართვეს. რაღაა ასეთი სინათლე?!..

დრო არ ითმენს. მშრომელები სინათლის აღდგენას მოითხოვენ. დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს ძველი, უვარგისი ბოძების შეცვლა, რათა მოსახლეობას მიეცეს ელექტროსინათლე.

**ბ. ჩხაიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

---

# იდუმალეთა გედნიერება

**იდუმალა.** ასპინძის რაიონშია ასეთი სოფელი. თურქთა სამსაუკუნოვანი ბატონობის მანძილზე მართლაც რომ იდუმალება სუფევდა ამ სოფელში, მთელ მესხეთში. კინაღამ გადაშენდა ქართველთა ნაშიერი. სოფლები, ციხე-კოშკები ნასოფლარებად, ნაგრეგვებად იქცნენ.

ერთი ასეთი ნასოფლარია ამჟამად წელში გამართული, აღორძინებული სოფელი იდუმალა. სამამულო ომის მძვინვარე დღეებში, 1944 წლის ზამთარში დაირღვა ამ სოფლის იდუმალება. ძველ მესხურ, მამაპაპათა სისხლით ნაპოხარ მიწას მოაშურეს მთიულებმა, დუშეთის რაიონის მაღალმთიანი ჭართლისა და ფასანაურის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლების მკვიდრებმა.

მოაშურეს და აქ, ნათურქალ მესხეთის მიწაზე, სამუდამოდ დაიდეს ბინა. ხედავ დღეს განახლებულ სოფელს და გული სიხარულით გევსება. ნავენახარზე კვლავ ხარობს ვაზი, მესხური ბაღიც აღმდგარა.

სოფელს რომ ვესტუმრეთ მზეც არ იყო ამოწვერილი, გვეგონა, კანტორაში არავინ დაგვიხვდებოდა, მაგრამ მოვტუუვდით. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შაქრო შალაშვილს აისისათვის აესწრო, ბრიგადირებისათვის დავალებები მიეცა და ახლა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ილია ჭიკაიძეს სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე ესაუბრებოდა.

— ახალ მიწაზე რომ ვიწყებდით ცხოვრებას, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — ჩვენი სოფლის მრავალი ვაჟკაცი მამაცურად ებრძოდა გერმანელ ფაშისტებს. ბევრი შეაკვდა მტერს, მრავალი ვაჟკაცურად ვალმოხდილი დაბრუნდა. თუნდაც მეცხვარეობის ფერმის გამგე ლევან ნარიმანიძე, მოწინავე მწყემსი მიხეილ ჯიქური, ავტომძღოლი გიორგი ბებილაშვილი და გიგო წიკლაური ავიღოთ. ისინი ფარაჯებით, ნაიარევი სხეულით მოვიდნენ მესხეთში და უზომოდ შეიყვარეს ახალი საბუდარი.

სოფელში გამოვედით. თვალში მოგვხვდა ახალი მშენებლობანი, ხარაჩოები. შრომა უმართლდებათ მთიულებს.

— შეძლებულად ვცხოვრობთ, — ამბობს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე,— პური არ გვაკლია და სიმინდი, ლეღნოც მოგვყავს, მთიულებმაც ვახარეთ ახალი ვაზი. მარტო შარშან 20 კილომეტრნენ აიშენა ახალი სახლი. აგერ იქით, ახალი სახლები რომ მთავრდება, მოწინავე კოლმეურნეების ნინო წიკლაურის, მოსე ბექაურისა და ვაჟამ წიკლაურის ბინებია. წელს 30 ოჯახი შევა ახალ სახლებში.

ყველგან, ყველფერში იგრძნობა ახალი სოფლის მძლავრი მაჯისცემა. ილიჩის ნათურები აჩირაღდნებენ კოლმეურნეთა ბინებს, არის რადიო, „თ კილომეტრზე გამოუყვანიათ მძლავრი წყალსადენი, რა სახის ლიტერატურას არ ნახავთ სასოფლო და საკოლმეურნეო ბიბლიოთეკებში. შენდება სასოფლო მაღაზია, მალე დაიწყებენ ახალი საკოლმეურნეო კლუბ-კინტორის, სახერხი ქარხნის, ელექტროწისქვილისა და აბანოს მშენებლობას. გასულ წელს მეცხოველეობის სამი ტიპური ბოსელი აუშენებიათ, წელს ყველა ბინას კულტურულად მოაწყობენ.

**მთიულებს** ოდითვე უყვართ პირუტყვი, ბევრნი მისი მოვლა-პატრონობა. უკეთ რომ გვენახა, თუ როგორ იბრძვიან მეცხოველეობის განვითარებისათვის, გადავწყვეტით ავსულიყავით დებისის მთაზე, რომელიც ასპინძას 44 კილომეტრით არის დაშორებული.

იდუმალელებს მოების გულში მკვიდრად ნაგები ფერმა და დამხმარე ნაგებობანი მოუწყვიათ. პირველი, რაც აქ თვალში გეცემათ, სანიმუშო სისუფთავე, სიფაქიზე და წესრიგია. მრავალი წარჩინებული მწველავი და მწყემსია დებისის მთაზე. ფერმის გამგემ მოსე ბექაურმა პირველად ნინო წიკლაური დაგვიახლა.

— მესხეთში ჩამოსახლების დღიდან მეძროხეობის ფერმაში ვმუშაობ, — გვითხრა ნინომ, — შარშან 10 ძროხიდან თვითეულზე 2.000 კილოგრამი რძე მოვწველე, წელს უკვე 1.500 კილოგრამი მივიღე თითოზე, წლის ბოლომდე ვალდებულებასაც გადავჭარბებ.

— ნინოს, — ჩაერია საუბარში ფერმის გამგე, — არ მისი აღზრდილი, საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მწველავი გოგონელიზა ჯიქური, ეთერ ბერდული და ლიზა წიკლაური ჩამორჩებიან, ერთ ძროხაზე 2.000 კილოგრამი რძე, — ასეთია მათი პირობა, რომელსაც წარმატებით ასრულებენ.

მწველავი ქალიშვილები სასოფლო საბჭოს დეპუტატებად აურჩევიათ, ამ ნდობას ღირსეულად ამართლებენ.

ფერმაში ვალდებულებასთან შედარებით 106 სულით მეტი მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავთ, გადაჭარბებით არის შესრულებული ძროხის სულადობის გეგმაც.

ლაპარაკი ხორცისა და რძის წარმოებაზე გადიდებაზე რომ ჩამოვარდა, თავმჯდომარემ გვითხრა:

— წელს ორჯერ გავზრდით ხორცის წარმოებას, რძისას კი — ერთნახევარჯერ. სახელმწიფოს წლიური გეგმით გათვალისწინებული 18,5 ტონის ნაცვლად უკვე მივიღეთ 23 ტონა ხორცი, წლის ბოლომდე დამატებით 14 ტონას მივიღეთ.

**ო�sp** სოფლიდან ვბრუნდებოდი, მესხეთის მთები, ველ-მინდვრები, ბაღნარები მზეში ცურავდნენ.

კიდევ უფრო აყვავდება და გაიზრდება შეძლებული გახდება სოფელი იდუმალა. წელს აქ პირობა შეუკრავთ: — საშუალოდ ჰექტარზე აიღონ 14 ცენტნერი მარცვლეული, ნაშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღონ 1.800 კილოგრამი რძე და დაამზადონ 10 ტონა სილოსი, 49 ჰექტარამდე აიყვანონ ბაღების ფართობი, ხილის მავსებლიანობა კი ჰექტარზე 60 ცენტნერამდე, ამით ორმაგად გაზარდონ კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი.

კიდევ უფრო მეტს მიაღწევენ მესხეთის მიწაზე სამუდამოდ დამკვიდრებული შრომისმოყვარე, მთებივით შეუპოვარი და გაუტეხავი მთიულები.

**ჰ. ხვადაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

---

# ერთი ქარხნის ინტელიგენცია

**სამამულო** ომი მძვინვარებდა. მუხანათი და ვერაგი მტერი გვეტევა. სამშობლო განსაცდელში იყო. ფრონტი ჯავშნიან ტანკებსა და თვითმფრინავებს მოითხოვდა. საჭირო იყო ლითონი, მაგრამ არა უბრალო, ჩვეულებრივი, არამედ ახალი, სპეციალური შენადნობი.

ინჟინერ გიორგი სიორიძეს მთელი ღამეები არ ეძინა. ან ლაბორატორიაში იყო, ან საამქროში. აკადემიკოს რ. აგლაძესთან ერთად იგი სამშობლოს დავალებას ასრულებდა, ახალი შენადნობის მიღებაზე მუშაობდა. შეუპოვრობამ, დაჟინებამ და სამშობლოს გულწრფელმა სიყვარულმა თავისი გაიტანა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მიიღეს ლითონური მარგანეცი. ეს პირველი შემთხვევა იყო საბჭოთა კავშირში. ამ ძვირფასი ლითონის აკვანთან ქართველი სპეციალისტები გ. სიორიძე და რ. აგლაძე იდგნენ, ისინი იყვნენ ამ შენადნობის ავტორები. ამიტომ მათ სტალინური პრემიის ლაურეატობა დაამსახურეს. გადაუჭარბებლად ამბობენ: ლითონურმა მარგანეცმა, რომელსაც სპეციალური ფოლადების მეტალურგიაში იყენებენ, მცირე როლი როდი შეასრულა გერმანელი აგრესორების განადგურებაში.

გ. სიორიძე დიდხანს მესამე საამქროს უნარიანად უძღვებოდა და არა ერთი შესანიშნავი ახალგაზრდა გამოზარდა. მან უფრო სრულყო და საფუძვლიანად დაამუშავა ახალი ტექნოლოგია ელექტროლიზური მარგანეცის მიღების ტექნოლოგია, წარმოებაში დანერგა იგი. ეს ლითონი ამშვენებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას. სწორედ ამ ძვირფასი ლითონის ტექნოლოგიური პროცესის შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის საგამოფენო კომიტეტმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი მეორე ხარისხის დიპლომით, ხოლო გ. სიორიძე ვერცხლის დიდი მედლით და რადიოლა „მელოდიით“ დაჯილდოვა.

ამჟამად გ. სიორიძე ქარხნის მთავარი ინჟინერია. იგი ბევრს კითხულობს, სწავლობს და სხვებსაც ასწავლის. გიორგი ახლის, პროგრესულის ძიებაშია. იღვწის მეტი და იაფი შენადნობების მისაღებად. სასიამოვნოა ვიცოდეთ ისიც, რომ გ. სიორიძე ამზადებს დისერტაციას ელექტროლიზური მარგანეცის მიღების რაციონალურ მეთოდზე.

**დავითი** ჩიკაშუამ 1932 წელს დაამთავრა მეტალურგიის ფაკულტეტი. საბჭოთა საქართველოში ის-იყო ისახებოდა ფეროშენადნობთა წარმოება. მას შემდეგ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მუშაობს დავითი. მეორე ათეული წელია ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიას უძღვება, ჩვენი ქვეყნის რომელ მეტალურგიულ ქარხანაში არ ყოფილა! პრაქტიკა გავლილი აქვს ურალში, ტულასა და კრასატორსკში. ელექტროღუმელების დაპროექტებაზე ხუთ თვეს მიწვეული იყო მოსკოვში. ზაპოროჟიეში ზესტაფონელმა მეტალურგებმა დანერგეს ლითონური მარგანეცის ტექნოლოგია. იქ იყო დ. ჩიკაშუაც.

დავითი ტექნიკური სიახლის თაოსანი და უშუალო მონაწილეა. ქარხნის კოლექტივმა დაამუშავა და დანერგა ფეროომანგანუმისა და სილიკომანგანუმის გამოდნობის ახალი ტექნოლოგია. ამ კეთილშობილური საქმისათვის 1951 წელს ინჟინერთა ჯგუფს (ი. კეკელიძე, ვ. მელაძე, გ. შათირიშვილი, ირ. ლორთქიფანიძე, ლ. მაღლაკელიძე) სტალინური პრემია მიეკუთვნა. ლაურეატთა შორის იყო ამხ. დავითიც.

დავითი ქარხნის უნარიანი რაციონალიზატორია. დანერგილია მისი ათზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რომლებმაც სამშობლოს მილიონობით მანეთი დაუზოგა. ამხ. ჩიკაშუამ გამდნარი სილიკატების ელექტროლიზური ხერხით ლითონების მიღების საავტორო მოწმობაც დაიმსახურა.

**ალექსანდრია** ხალხით იყო გაჭედილი. იქ ნახავდით გამოჩენილ მეცნიერ მეტალურგებსა და რიგით მუშაებელებს, ინჟინრებსა და ფრმის ოსტატებს. ცხარე პაექრობა მიმდინარეობდა. სადისერტაციო კათედრაზე იდგა ზესტაფონელი ინჟინერ-მეტალურგი შ. ფხაკაძე. მისი თემა იყო „მაღალი კუთრის სიმძლავრის ღუმელში ფეროშენადნობთა მიღება“. ოფიციალურმა ოპონენტებმა მაღალი შეფასება მისცეს ნაშრომს. იგი დამსწრეებმაც მოიწონეს. სამეცნიერო საბჭომ შ. ფხაკაძეს ერთხმად მიაკუთვნა ტექნიკის მეცნიერების კანდიდატის წოდება.

ახლა შალვა ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეა. იგი მრავალი შესანიშნავი სტატიისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორია, ტექნიკური პროგრესის სათავეშია.

აკაკი მეტრეველმა 1937 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი. ნელიწადნახევარი სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში მუშაობდა. შემდეგ კი განუწყვეტლივ ფეროშენადნობთა ქარხანაში მუშაობს. კარგა ხანია მეტალურგიულ-ლაბორატორიას ხელმძღვანელობს. ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა სწორედ აქ იწყება, აქ იბადება და ხორცი ესხმება ყოველ ახალ თანაფიქრს, ახალ მოსაზრებას.

ლაბორატორია მჭიდრო კავშირშია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტთან. წელს ლაბორატორიაში დაამუშავეს მნიშვნელოვანი თემები: „ტორფის ნახვრად კოქსის გამოყენება ფეროშენადნობთა გამოდნობაში“, „ფეროსილიციუმის მიღება დახურულ ელექტროღუმელში გამავალი აირების დაჭერით“ და სხვ.

ამ ფრიად აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაზე ამხ. მეტრეველის მხარდამხარ მუშაობდნენ ინჟინერ-მეტალურგები ა. მწარიაშვილი, ე. ბარბაქაძე, კ. ვერულაშვილი, ნ. აბულაძე, შ. კაბია; ქიმიკოსები თამარ არაბიძე, მარგო ფირუმოვა, ელიზა ქოჩიაშვილი, ოლია ვოიტენკო, შ. ხომასურიძე, რ. ფერაძე; მექანიკოსები კ. კოვზორიშვილი, ლ. ოდიკაძე, რ. ჭიკინაძე, ა. კვანტარიშვილი და სხვები. მეტალურგიის ინსტიტუტიდან აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობდნენ ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ელ. ნადირაძე, მეცნიერი მუშაკები ბ. გოგორიშვილი, გ. დგებუაძე, რუსუდან ცხვედიანი, შ. ბეზარაშვილი და სხვები.

ამხ. მეტრეველს აქვს საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკა. იქ ნახავთ არა მარტო ტექნიკურ ლიტერატურას. მეტალურგიულ წიგნებთან ერთად იგი ბევრს კითხულობს მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას.

ბევრი რამ ითქმის ამ ქარხნის ინტელიგენციაზე. მათ შორის არიან თვით ქარხნის დირექტორი გ. შათირიშვილი, მეტალურგი ქალი ლ. ქათამაძე, ეკონომისტი ელენე გაჩეჩილაძე, ნიჭიერი მეტალურგები ა. მესხი, შ. თედოზაშვილი, ი. კალანდაძე, თ. ახობაძე, ელექტროინჟინერი შ. კვეტნაძე და სხვები. ყველას ერთად ჩამოთვლა შეუძლებელია. ისინი წინ ეწევიან ტექნიკას, იღვწიან ტექნიკური პროგრესისათვის, მეტი ლითონისათვის. ისინი კარგი საზოგადოებრივი მუშაკებიც არიან.

ქარხნის ინტელიგენცია მთელი კოლექტივის მხარდამხარ კვლავაც იბრძოლებს ახალი მარკის შენადნობთა შექმნისათვის, შემოქმედებითი შრომის გამარჯვებისათვის.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.



---

# „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

## „ბალ-ბოსტნებში სიუხვეა... თაროებზე—სიცარიელე?“

**ამ** სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა ქუთაისში ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. ამ წერილთან დაკავშირებით პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი გვიბრძანებენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად შეეფერება სინამდვილეს.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილეს ქალაქში ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის მდგომარეობა და დასვეს ღონისძიებანი მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

„ქუთაისვაჭრობის“ დირექციას დაევალა გადაჭრით გაუმჯობესოს ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის საქმე, გაბარდოს მოსტნეულით და ხილით მოვაჭრე ობიექტების მუშაკების პასუხისმგებლობა ბოსტნეულისა და ხილის მიღების, დახარისხების, შენახვისა და გაყიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყოს ხილ-ბოსტნეულის სპეციალიზებული საავჭრო ქსელის გაფართოება და ა. შ. თილმოწყობა. არ დაუშვას საავჭრო ქსელში უხარისხო პროდუქციის მიღება, შემოხვევები და სხვ.

---

# წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

**მიღებულია ზომები**

**ცხაკაიაში** ჰავეშავაძის ქუჩა კეთილმოუწყობელია, იქვე მოწყობილი ბენზინსაცავი დაცული არ არის ხანძრისაგან, ასეთ და სხვა ნაკლოვანებათა შესახებ გვწერდნენ ჩვენი გაზეთის მკითხველები. წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომს, რომელიც რედაქციას ატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ჰავეშავაძის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოთა შესრულება დაეკისრა ცხაკაიის საქალაქო საბჭოს აღმასკომს. უკვე შესრულდა მთელი რიგი სამუშაოები. დაიწყო ქუჩის მოასფალტება, მოწესრიგებულია ელექტროგაყვანილობა. ამ ქუჩის მცხოვრებლებმა თავიანთი ეზოების გასწვრივ გაიყვანეს წყალსწრეტი არხები, რაიკოოპკავშირის საწყობის ეზოში მოთავსებული ბენზინსაცავი გადატანილია სხვაგან.

მიღებულია ზომები, რომ ჰავეშავაძის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები უმოკლეს დროში დამთავრდეს.

---

# უპატაკეგენ სამშობლოს

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი ჩაება წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და უკვე მოიპოვა პირველი წარმატებები. 20 სექტემბერს მეტალურგებმა შეასრულეს 9 თვის დავალება. განსაკუთრებით კარგად იმუშავა მეორე საამქრომ, რომელიც კომუნისტური შრომის სახელისათვის იბრძვის. ამ საამქრომ 18 დღით ადრე შეასრულა 9 თვის დავალება, დაზოგა 400 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. საოქტომბრო შეჯიბრებაში დაწინაურდა აგრეთვე მესამე საამქრო, რომელმაც 20 დღის დავალება 115 პროცენტით გაანაღდა.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა იკისრეს თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 8 მილიონი მანეთის ძვირფასი ფეროშენადნობები.

**სოხუმი.** (საკ. კორ.). ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების რვა თვის გეგმა ვადამდე გაანაღდა და დავალების ზევით გამოუშვა 14 მილიონამდე ცალი ზეგეგმითი პაპიროსი. მასალების და ნედლეულის მომპირნეობით ხარჯვის შედეგად დაზოგეს და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 330 ათასი მანეთი.

თავდადებით შრომობენ სოხუმელი მეთამბაქოეები სექტემბერშიც. მარტო პირველ დეკადაში მათ დაამზადეს მილიონნახევარი ცალი ზეგეგმითი პაპიროსი.

**ახალი** შრომითი წარმატება მოიპოვეს აფხაზეთის სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. 15 სექტემბრისათვის მათ წარმატებით გაანაღდეს საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის დავალება. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 7,1 პროცენტით.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს სოხუმის ლუდსახდელმა ქარხანამ, სოხუმისა და გუდაუთის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატებმა, სოხუმისა და ტყვარჩელის საქალაქო სამრეწველო კომბინატებმა.

ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს სექტემბრის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 11 მილიონი მანეთის პროდუქცია.

**შესანიშნავ** წარმატებებს აღწევს მიმდინარე წელს სოხუმის რძის ქარხნის კოლექტივი. აქ ყოველთვიურად დიდი გადაჭარბებით სრულდება საგეგმო დავალ

## ამერიკული პრესა აღიარებს: ნ. ს. ხრუშჩოვის „იზოლაციის“ ცდა მარცხდება

# საერთაშორისო დეკეულები, ცნობები, მიმოხილვა

## შეხვედრები პარლემში

**ლონდონი**, 21 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნას ნიუ-იორკში ფაროდ აშუქებს ინგლისის პრესა. დღეს ყველა გაზეთი დიდი პლანით ბეჭდავს ნ. ს. ხრუშჩოვისა და კუბის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროს ფოტოსურათს მათი შეხვედრის დროს ნიუ-იორკის პარლამენტ რაიონში. თუმცა ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს საქმე ისეთნაირად წარმოადგინოს, თითქოს ამერიკელები „იჩენენ მტრობას“ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი. იგი მაინც იძულებულია აღიაროს, რომ ისეთი მტკიცებანი შორს არის ჭეშმარიტებისაგან, რადგან ნ. ს. ხრუშჩოვის პირველმავე შეხვედრამ ოიგი ამერიკელებთან პარლემის სასტუმროში, მისვლის დროს, სადაც იმყოფება კუბის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, ცხადყოფს, რომ ნიუ-იორკელები მტკიცე პროტესტს აცხადებენ პოლიციის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ მოახდინონ ნ. ს. ხრუშჩოვის „იზოლაცია“, და მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

მაგალითად, ისეთი მემარჯვენე გაზეთის კორესპონდენტიც კი, როგორიც არის „დეილი მეილი“, იძულებელია აღიაროს, რომ პარლემის მცხოვრენი „მჭუხარედ მიესალმნენ ხრუშჩოვს“. „ორი საათის განმავლობაში, — წერს კორესპონდენტი, — ადამიანთა აღგზნებული მასა ენერგიულიცით მჭუხარედ მიესალმებოდა როგორც ხრუშჩოვს, ისე კასტროს“.

გაზეთ „ტაიმსში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციის სათაურია: „ხრუშჩოვს აღტაცებით ხვდებიან პარლემში“.

„გარდიანის“ ნიუ-იორკელი კორესპონდენტი აგრეთვე აღიარებს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმა „რამდენიმე ათასი კაცი“.

ამრიგად, ნებით თუ უნებურად ბურჟუაზიელმა პრესამ უნდა აღიაროს, რომ ცდა მოაწყონ პროკოკაცია საბჭოთა მთავრობის მეთაურის წინააღმდეგ და მოახდინონ მისი „იზოლაცია“ პოლიციური კორდონის დახმარებით, მარცხდება, რადგან რიგით ამერიკელებს არ სურთ წამოეგონ პენტაგონისა და მისი ბატონ-პატრონების ანკესს და მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვის მონაწილეობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში.

## ყველაზე გადაუდებელი პრობლემა

**პარიზი**, 20 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის გახსნასთან დაკავშირებით საფრანგეთის პრესა ხაზს უსვამს, რომ უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც ასამბლეამ უნდა განიხილოს განიარაღების საკითხია. „რაგინდ დიდნიშვნელოვანი იყოს გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში დასმული სხვა პრობლემები, — წერს გაზეთი „ლუმანიტე“, — ეს პრობლემა ყველა პრობლემაზე დიდმნიშვნელოვანია“. აღნიშნავს რა, რომ ერთი წლის წინათ ნ. ს. ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან წამოაყენა საყოველთაო და სრული განიარაღების იდეა და რომ გენერალური ასამბლეა ენთუზიაზმით მიესალმა და მოიწონა იგი“, ავტორი ამბობს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა განიარაღების უმნიშვნელოვანესი საკითხი სხვადასხვა მანევრით ჩიხში მოამწყვდიეს. ამჟამად საქმე ეხება იმას, რომ გამოიყვანონ ეს საკითხი ჩიხიდან.

გაზეთი „ლიბერასიონი“ მოუწოდებს საფრანგეთის მთავრობას აქტიური როლი შეასრულოს განიარაღების საკითხში, რადგან „საფრანგეთი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე სხვა ქვეყანა, დაინტერესებულია იმით, რომ რაც შეიძლება მალე დაიხსნას საერთაშორისო შეთანხმება განიარაღების შესახებ“. საფრანგეთს, განაგრძობს გაზეთი, განსაკუთრებით ემეჭვრება დასავლეთ გერმანიის შეიარაღება. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, თუ რა არის გერმანული მილიტარიზმი და არ შეიძლება არ გვქონდეს შეგნებული, რომ ადრე თუ გვიან ახალი ვერმახტი საფრანგეთის წინააღმდეგ გამოვა. მაშასადამე, განიარაღება დაგიცავდა მომავალდინელი საფრთხისაგან“. გარდა ამისა, განაგრძობს „ლიბერასიონი“, საფრანგეთის მოსახლეობას ძალ-ღონე ეცალა იმის გამო, რომ განუწყვეტლივ იზრდება სამხედრო ხარჯების ტვირთი, რომლებიც ბიუჯეტის მესამედზე მეტს ნთქავენ. ეს ხარჯები რომ არ იყოს, საფრანგეთი შეეძლებოდა ამოისუნთქავდა და უზრუნველყოფდა თავის განვითარებას.

გაზეთი „ლიბერასიონი“ აკრიტიკებს საფრანგეთის დიპლომატიას, რომელიც მწიფოთა ან მთავრობათა მეთაურების მონაწილეობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობაში წარმატებით დაგვირგვინდა. „ეს, — წერს გაზეთი, — მოწმობს მსოფლიოში ძალების ახალ თანაფარდობას, რომელსაც ახლა არავინ არ უარყოფს, მაგრამ რომელსაც ზოგი ვინმე ნაკლებად ეგუება“... ხაზს უსვამს რა, რომ ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გაცილებით უფრო წარმომადგენლობითი გახდა, გაზეთი ამავე დროს აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „უხარმაზარი და უაზრო სიცარიელეა იმასთან დაკავშირებით, რომ იქ არ არის სახალხო ჩინეთი“.

„ლიბერასიონი“ აღნიშნავს, რომ ახლა წარსულს ბარდება ის დრო, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამბატონებული იყო ვაშინგტონის მორჩილი „ავტომატური უმეტესობა“, რომელიც „დოლარებისა და ანტისაბჭოთა განწყობილების საშუალებით ზოგჯერ წარსულში არცხვენდა ამ ორგანიზაციას“.

## „უაზროგა და სისულელე“

**ნიუ-იორკი**, 21 სექტემბერი. (საკდესი). ჟურნალი „ნეგბნი“ სარედაქციო სტატიაში აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიიზე ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. სტატიის დასაწყისში გამოქმედული თანხმობა ელეონორა რუზველტის აზრთან, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ადგილსამყოფელის შეზღუდვა მანჰეტენის კუნძულით „უაზრობაა, ნამდვილი უაზრობაა“. ჟურნალი აცხადებს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვს მშვენივრად შეუძლია მანჰეტენის კუნძულიდან გაუსვლელად მიაღწიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაში თავისი მონაწილეობის დიპლომატიურ მიზნებს, და რომ „სახელმწიფო დეპარტამენტმა რომ მისი ადგილსამყოფელი შეზღუდოს კლეოპატრას ნემსის მწვერვალით ცენტრალურ პარკში, მაშინაც კი იგი საზრდოს მისცემდა ინფორმაციისათვის...“

**ამერიკული ჟურნალი სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ნიუ-იორკში ნ. ს. ხრუშჩოვის მიმოსვლის შეზღუდვის შესახებ**

„მტკიცება, რომ მას აკრძალული აქვს მდინარეზე გადასვლა, რათა დაიცვან გაბრაზებული ამერიკელებისაგან, უფრო სისულელეა, ვიდრე თვით აკრძალვა, — წერს შემდეგ ჟურნალი. — უნგრელ ემიგრანტთა არმიის რაზმები, რომელთაც მეთაურობს ბელა ფაბიანი, სწორედ მანჰეტენზე იმყოფებიან, და თუ ხრუშჩოვი გაჩერდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საბჭოთა კავშირის მისიის შენობაში პარკ-ავენიუზე, ემიგრანტები, როგორც წარსულში, კაჭვრასა და კბეას დაუწყებენ ნიუ-იორკელ პოლიციელებს. ეს პოლიციელები და მათი ცხენები იქნებიან სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილების მთავარი ჩსხვერპლი.

წარსულში არა ერთხელ შექმნილა შთაბეჭდილება, რომ ამერიკის დიპლომატიამ მიაღწია ზღვარს, მაგრამ ყოველთვის აღმოჩენილა, რომ მას შეუძლია უფრო სულელი გახდეს“.

## ნიუ-იორკის „სტუმართმოყვარეობა“

**ნიუ-იორკი**, 20 სექტემბერი. იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება:

19 სექტემბერს საღამოს კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ, რადგანაც ადმინისტრაციამ „მიუღებელი ქირა“ მოსთხოვა, მიატოვა სასტუმრო, რომელშიც ჩამომხდარი იყო და წავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში ღამის თავშესაფარის მოსაძებნად.

კასტრო სწორაფად გამოვიდა სასტუმრო „შელბერნიდან“, რომელიც რვა კვარტალით არის დაშორებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობას, იგი ჩაჯდა მსუბუქ ავტომობილში, რომელმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიყვანა.

„დაუყოვნებლივ წავალ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, — განუცხადა კასტრომ კორესპონდენტებს სასტუმროს დერეფანში. — დავრჩები იქ დღე ამეღი მაქვს, რომ დამაბინავებენ.

არ მინდა ვინმეს გავაძარცვინო თავი, რადგან ფული, რომელიც მე მაქვს, კუბელ ხალხს ეკუთვნის. ეს ჩემი ფული კი არ არის, კუბელი ხალხის ფულია“.

კასტროს ჰკითხეს, რა მოხდება თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეშვებაზე უარს ეტყვიან.

„მაშინ ჩვენ წავალთ ყველგან, — თქვა კასტრომ, — ცენტრალურ პარკშიც კი, მოეებში მიჩვეული ვართ ღია ცის ქვეშ ძილს“.

კასტრო სასტუმროს დერეფანში მოდიოდა, როცა-კორესპონდენტებს წაეწყდა.

მან განაცხადა, რომ მისი აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინა უნდა გადაიტანონ რომელიმე სხვა ქვეყანაში.

„ყველგან, — თქვა კასტრომ, — მექსიკაში, ჰავანაში. — თუ იგი შეიქმნება ჰავანაში, დელეგატები მეტად კმაყოფილნი იქნებიან და ძალიან კარგი პირობებიც ექნებათ. მე მივცემ თვითეულ დელეგაციას სახლს, კომფორტულ სახლს — სახლებს, რომლებიც ჩამოვართვით ბატისტას ყოფილ მთავრობას“.

კასტრომ თქვა, რომ, მისი აზრით, ამერიკელები კუბაში რომ ჩაფიოფლნენ, დაბრუნდებოდნენ იქიდან 100 პროცენტით კუბის სასარგებლოდ განწყობილნი.

„ჩვენ მეგობრული ხალხი ვართ,— თქვა მან, — ვცდილობთ უზრუნველყოთ ყოველი უცხოელი კარგი პირობებით და, რასაკვირველია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის, შემთხვევაში დამოკიდებულება დელეგატებისა და სტუმრებისადმი კიდევ უფრო თავაზიანი იქნება, ვიდრე ჩვეულებრივ არის“.

**19 სექტემბერს საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინაში გამოაცხადეს, რომ კუბის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო და კუბის დელეგაცია ღამეს გაათევენ სასტუმრო „ტერეზაში“, ნიუ-იორკის ჰარლემის რაიონში.**

„შუადამისას კოკისპირულ წვიმაში პოლიციელთა პიკეტების უკან შეკრებილი უამრავი ხალხის მისალმების შედეგად“, კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ, ბოლოს და ბოლოს იპოვნა თავშესაფარი ნიუ-იორკის ზანგების რაიონში — ჰარლემში, — ასე აღწერს გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ მოღამეს, რომელიც მოუწყეს ფ. კასტროს ჰარლემში, სადაც თავის თანხლეს პირებთან ერთად ამჟამად ჩამომხდარია იგი სასტუმრო „ტერეზაში“ 125-ე ქუჩაზე.

როცა ჰარლემში გავრცელდა ხმა, რომ იქ მიდის კასტრო, სასტუმრო „ტერეზას“ მახლობლად დაიწყო შეკრება ხალხმა. სასტუმროში მისი მოსვლის მომენტისათვის, იუწყება გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი“, იქ უკვე იყო ათასზე მეტი კაცი. კუბის პრემიერ-მინისტრს შეხვდნენ გულთბილი შეძახილებით.

როცა დღეს დილით ჰარლემში გამოირკვა, რომ იქ გაჩერდა კასტრო, მთელი 125-ე ქუჩა ხალხით აივსო. ნიუ-იორკის ამ რაიონში მცხოვრები ზანგები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ჩვენს ოლქში საპატიო სტუმარია“.

ჰარლემის მცხოვრებლები სიხარულით ხვდებიან თავიანთ სტუმარს და გულითად მიღებას უწყობენ მას.

**ლონდონი**, 20 სექტემბერი. (საკდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, კონგოს მდგომარეობა კვლავინდებურად გაურკვეველი და დახლართულია. კონგოში ხელისუფლებას ერთმანეთს. ეცილებიან სხვადასხვა დაჯგუფებები. საგენტოები იუწყებიან, რომ კონგოს ჰარლამენტის „კეთილი სამსახურის“ კომისია, რომელიც მზარს უჭერს ჟ. კასავუბუსა და პ. ლუმუმბას რეზიდენციების კონტაქტს, ცდილობს დაახლოვოს მათი თვალსაზრისი. ამავე დროს ხელისუფლების მეორე პრეტედენტი — ამბოხებული პოლკოვნიკი მობუტუ აცხადებს, რომ იგი განაგრძობს თავის ეგრეთწოდებულ „ნეიტრალიზაციის“ პროგრამას. ამ პოლკოვნიკის ქვაშევრდომ ჯარისკაცებს დაკავებული აქვთ ლეოპოლდვილის ზოგიერთი ადმინისტრაციული შენობა. იმასთან დაკავშირებით, რომ ჰრმეერ-მინისტრ ლუმუმბას განზრახული აქვს გაფრინდეს ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე დასასწრებად, სადაც განიხილავენ კონგოს საკითხს, პოლკოვნიკმა მობუტუმ განაცხადა, რომ იგი „არ დაუშვებს“ ამას. მობუტუმ გამოსცა „ბრძანება“ ლუმუმბას „დაპატიმრების შესახებ“, თუ ეს უკანასკნელი შეეცდება გაფრინდეს ნიუ-იორკში.

როგორც რეიტერის საგენტო ლეოპოლდვილიდან იუწყება, აფრიკის ხუთი ქვეყანა—არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, განა, გვინეა, მაროკო და ტუნისი — ცდილობს მიაწვინონ კონგოს კრიზისის მოწესრიგებას. ამ ცნობებით, აფრიკის ზოგიერთი სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა მაროკო და განა, ზეგავლენას ახდენს კასავუბუსა და ლუმუმბაზე იმ მიზნით, რომ ისინი შეთანხმდნენ გაერთიანებული ერების მთავრობის შესაქმნელად. მაგრამ ამ ღონისძიებებს ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოუტანია. როგორც საგენტო იუწყება, ლუმუმბა დაჟინებით მოითხოვს შეუნარჩუნონ მას პრემიერ-მინისტრის პოსტი და შეიყვანონ კატანგელ კონგოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, მაგრამ იგი თანხმდება იმას, რომ კონგოში შეიქმნას ახალი პროვინციები იმ ტერიტორიების შესაბამისად, რომლებიც ტენზიას პრემიერის თანამდებობაზედაც კი და უშუალოდ გარიგებულია ჩომბესთან.

საგენტოები იუწყებიან, რომ კონგოში ჩნდება მღელვარების ახალ-ახალი კერები. გადმოსცემენ, რომ კოკიავილში აჯანყდნენ კონგოს ჯარები. მათ დაატარეს ოფიცრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო სარდლობა აქვეზეს სპარატულ ელემენტთა საქმიანობას, რომლებიც აღვიძებენ ტომობრივ და რელიგიურ შუღლს. როგორც საგენტოები იუწყებიან, კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობამ გუშინ გამოაცხადა, რომ კონგოს აღმოსავლეთ ნაწილში, კივუსა და კატანგის პროვინციების საზღვრის გაყოლებით, შეიქმნას ეგრეთწოდებული „ნეიტრალური ზონა“, რომლის სიგანე 30 კილომეტრია; ამ ზონას კონტროლს გაუწევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები.

„ნეიტრალური ზონის“ შექმნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობა ცდილობს დაფაროს თავისი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კონგოს გათიშვას, და გაართულოს კონგოს ჯარების ოპერაციები ჩომბეს გამთიშველი ხროვის წინააღმდეგ.

## ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲐ — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲒᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ

**ნიუ-იორკი**, 21 სექტემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეთხუთმეტე სესიის მომსალმებელმა კომიტეტმა“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დ. ჰამარშელდს გადასცა წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ყველა დელეგატთა შორის გასაგრცელებლად.

კომიტეტის წერილში ნათქვამია:

„ჩვენ მივესალმებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიას. გამოვთქვამთ ქალაქ ნიუ-იორკის მცხოვრებთა უდიდესი რადენობის გრძნობებს, რომლებიც ჩვენი მოწოდებით შეიკრიბნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოედანზე, რათა მხურვალედ მიესალმონ სახელმწიფოთა თვალსაჩინო მეთაურებსა და ასამბლეის ყველა დელეგატს.

ვასრულებთ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოედანზე შეკრებილ მოქალაქეთა, აგრეთვე ფაქტიურად ჩვენი ქვეყნის მილიონობით ადამიანის სურვილს, მოვუწოდებთ ასამბლეას მიიღოს ყოველი ღონისძიება მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. იმედი გვაქვს, რომ დელეგატები და სახელმწიფოთა მეთაურები მანამდე განაგრძობენ სხდომას, სანამ არ მიიღწევენ შეთანხმებას განიარაღების პროგრამის განხორციელებაში პირველი ნაბიჯების შესახებ.

ჩვენ მივესალმებით ყველა ქვეყნის დელეგატებს და მოველით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია დაგვიახლოვებს მთელი კაცობრიობის იმედის განხორციელებას მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით თქვენს წარმატებას მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში“.

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ ᲣᲦᲠᲣᲑᲚᲝ ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

**ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ**

**ვენა**, 21 სექტემბერი, (საკდესი). საბჭოთა მთავრობის მეთაურის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივის უდიდესმა მნიშვნელობამ ახალი აღიარება პოვა ავსტრიელი ჟურნალისტის ერნსტ სიმონის გამოსვლაში გაზეთ „დერ რუნდბლიკის“ ფურცლებზე. სტატიაში, რომელიც დასათაურებულია: „ხრუშჩოვი კვლავ გამოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“, ავტორი წერს:

„ზუსტად ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, — წერს სიმონი, — რაც ხრუშჩოვი გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წინაშე საბჭოთა კავშირის სახელით და შეიტანა წინადადება სრული განიარაღების შესახებ. და აი ახლა იგი გამოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე და შეეცდება განახორციელოს გადაწყვეტი მობრუნება მსოფლიო პოლიტიკაში. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს ახალი ინიციატივა სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითად შინაარსს, რომელიც ხრუშჩოვმა ჩამოაყალიბა თავის გამოსვლაში 1959 წელს. ხრუშჩოვი, როგორც წინათ, იცავს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, რომლის დაცვამ უნდა გამორიცხოს მესამე მსოფლიო ომი.

დასავლეთის პროპაგანდის საწინააღმდეგოდ უკვე ახლა ცხადია, რომ ნეიტრალური ქვეყნების ბევრი ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწე აგრეთვე ისარგებლებს შემოხვევით და თავის გავლენას გამოიყენებს იმისათვის, რომ შიაღწიოს მსოფლიოში არსებულ უთანხმოებათა მშვიდობიან გადაჭრას. სამწუხაროდ, მათ შორის არ არის ავსტრიის მთავრობის მეთაური, თუმცა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა სრულიად საჭიროდს ნეიტრალური პოლიტიკის განხორციელებას და თუმცა ავსტრიის გამოსელა ევროპის პრობლემების გადაჭრისათვის ხალხთა ურთიერთგაგების სულისკვეთებით განსაკუთრებული ყურადღებით იქნებოდა მიღებული.

ეიზენჰაუერმა, რომელსაც სრულიად არა აქვს უნარი თავი გაართვას საერთაშორისო პრობლემებს, თავისი საპრეზიდენტო ვადის გასვლის წინ მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში მანჭეტენის ფარგლებით საბჭოთა მთავრობის მეთაურის მიმოსვლის თავისუფლების შებოჭვის ღონისძიებანი და ისინი ახსნა „უშიშროების მოსაზრებით“. ეს განმარტება ნიშნავს ან იმას, რომ ვაშინგტონის მთავრობას არ შეუძლია მოუაროს თავის პოლიტიკურ განგსტერებსა და მკვლელებს, ანდა სურს ცხადყოს, რომ ნიუ-იორკის ნიადაგი შემდეგში არ იქნება შესაფერისი ადგილი ისეთი საერთაშორისო დაწესებულებებისათვის, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. როგორც ჩანს, ეს მართლაც ასეა, და აქედან უნდა გაკეთდეს შესაფერი დასკვნები. ალბათ სასურველი იქნებოდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სეიუები დამოკიდებული არ იყოს ამერიკის ხელისუფლების შტატების ცვალებად ჰაეზე. ვაშინგტონის სიახლოვე და გაელენა აშკარად უბნეკენ გზა-კვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთ ფუნქციონერებს, როგორიც არის ჰამარშელდი... ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მთელი მსოფლიო ელოდება გადაწყვეტილებას [illegible] — [illegible] ეს [illegible] ინიციატივა [illegible] ეს [illegible] ეს [illegible] ეს

# რიონისა და ჯანჯახის პირას

ქუთაისიდან დაახლოებით 147 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს კურორტი **შოვი**, რომელსაც დამსვენებლები „შორსას“ ეძახიან. მიქრიხართ ფრთამალი ავტომანქანით რიონის ხეობით (ამას მხოლოდ მხატვრული მეტაფორისათვის ვამბობთ, თორემ, რა თქმა უნდა აქაური ავტობუსები, რომლებიც 8-10 საათს მიბობღავენ შოვამდე, ნაცლებად შეიფერებენ ამგვარ ამაღლებულ ეპითეტს), უკან გრჩებათ სოფელი ჭომა, გუმათჰესი, ხვაძლის ლეგენდარული გამოქვაბული, საირმის უღელტეხილი, ბარაკონის ლამაზი ეკლესია (XVIII ს.), თვით ონი, კურორტი უწერა, ბროლის მთა...

გზა „ეიწრო და კლდოვანია“, თანაც შიმის ზარი გეცემათ, როდესაც „მძიმე ავტობუსი გადიკროლებს რაღაც ფარატინა ფიცრებითა და დამპალი მორებით გამაგრებულ ხიდებზე.

— არა უშავს რა, გამაგრდით, გვერდზე გაიხედეთ, გადავალთ, — გვამხნევებს ამ გზებზე გამოწაფული ავტომძღოლი და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენც ვრწმუნდებით, რომ განსაცდელშა გადაიარა, რომ ჩვენ რაღაც ხრამში არ ვვდებვართ.

და აი, ბოლოს, ნანატრი შოვიც, რომლის შესახებ ერთმა სეპტიკოსმა თქვა, რომ აქ „ჯანმრთელი არ წამოვა, ავადმყოფი კი ვერ ჩაგაო“. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მას. ვინც კი ერთხელ მაინც ჩავიდა შოვში, შეუძლებელია კვლავ არ ეწვიოს ამ ზღაპრული სილამაზის კუთხეს, არ გაიმეოროს გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონები, რომელიც პოეტმა უძღვნა კურორტს:

**აივსო ჩემი მყუდრო მაგიდა**
**ახალ ლექსებით და ყვავილებით,**
**იმ ხეივანის მუხა და ფიქვი**
**მე მიფარავდნენ მზიურ ჩრდილებით,**
**გამხნევებდნენ ვარ ამ ზაფხულის**
**დაუვიწყარი შთაბეჭდილებით...**

შოვი და უწერა მართლაც დაუვიწყარი შთაბეჭდილების მომგვრელია. დაუვიწყარია ასწლოვანი წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეებით დაფარული მთები, მედიდური ბუბა, რომელიც კურორტს გადმოპყურებს.

შოვი მაღალმთიანი (ზღვის დონიდან 1.600 მ.) კლიმატური კურორტია. იგი მდებარეობს მდინარე ჯანჭახის (რიონის შენაკადი) ველის გაფართოებულ ადგილზე, ძამისოხის ულელტეხილის მახლობლად. უცხოელი მოგზაურები ამტკიცებენ, რომ თავისი სილამაზითა და ბუნებრივი პირობებით იგი არაფრით არ ჩამოუვარდება შვეიცარიის განთქმულ კურორტებს. დავოსსა და აროზასო. ჩიხეთიდან ჩამოსული სტუდენტი ხუ ტიან-ი კი ხატოვნად ამბობდა, მენანება, ღამით თვალის დახუჭვა რომ მიხდებაო.

აღნიშნავენ, რომ შოვში, ამ მართლაც, როგორც იტყვიან „ღვთის მიერ მომადლებულ კუთხეში“, გვხვდება სულ სხვადასხვა — ტყის, მინდვრის, ხეობის, პლატოსა და ალპური ველების ჰაავა, რომელიც უაღრესად კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენს სასუნთქი გზების არატუბერკულოზურ დაავადებაზე (ქრონიკული ბრონქიტები და ტრაქეიტები, პლევრიტისა და პლევრონეგმონიის შედეგები, ბრონქული ასთმის იოლი, დაწყებითი ფორმები).

შოვში უხვად ჩამოდის ჯანმრთელი ფიონები — მთებიდან დაბლობში მომავალი თბილი და მშრალი ქარების ტალღები. დაკვირვებამ ცხადყო, რომ შოვში წლის განმავლობაში მზის ნათების ხანგრძლივობა მეტია, ვიდრე აბასთუმანში, ბაკურიანში, შვეიცარიის დავოსსა და აროზაში. მზის სხივები, რომლებიც აქ ეცემა მუდმივი თოვლით დაფარულ მწვერვალებზე, აირეკლება და კიდევ უფრო მდიდრდება ულტრაიისფერი სხივებით. შოვში შესამჩნევია მზის ძლიერი ირრადიაცია — ულტრაიისფერი სხივების სიმდიდრე. აქვე არის მშვენიერი გემოს მქონე ჰიდროკარბონატული ნახშირმჟავა რკინიანი წყლები.

შოვის ეს მდიდარი სამკურნალო თვისებები უაღრესად კეთილმყოფელ გავლენაა ახდენს ავადმყოფებზე. აქ მშვენივრად გრძნობენ თავს სისხლნაკლული დამსვენებლები, აგრეთვე რეკონვალესცენტების (ე. ი. მძიმე ავადმყოფობის შედეგები), ანემიის, ბრონქიტების, მსუბუქი ჰიპერტონიისა და ჰიპოტონიის მქონე ავადმყოფები.

კურორტ შოვის ერთ-ერთმა ენთუზიასტმა, ადგილობრივი სანატორიუმის ექიმმა-ორდინატორმა თამარ ჯაჭვლიანმა ანალიზი გაუკეთა ბრონქული ასთმის მკურნალობას შოვში 1957-1960 წლების განმავლობაში და ეს ანალიზი ფრაზედადებით სურათს იძლევა. შოვში ჩამოსულ ავადმყოფებს იშვიათად მოსდით ის მხუთავი შეტევები, რაც ასთმას ახასიათებს. მაგალითად, მკვეთრი გაუმჯობესება იგრძნეს ავადმყოფებმა ა. ვისატოვამ (ქ. გორკი), ბაღაროლმა ე. ბობროვმა (სტალინო), სამთო ინჟინერმა მ. სტელმაშენკომ და მრავალმა სხვამ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენმა კურორტოლოგებმა შექმნეს ახალი აპარატი ხელოვნური აეროიონოთერაპიისათვის ბრონქული ასთმითა და ჰიპერტონიით დაავადებულთათვის. ამ აპარატის დანინუულებას ადადგენს ჰაერიდან წარმოქმნას უარყოფითი ელექტროიონები. ეს აპარატი კარგი საქმეა, მაგრამ რატომ ავიწყებენ პატივცემული კურორტოლოგები შოვს, რომლის კლიმატურ პირობებში, როგორც ფიქრობენ, ბუნებრივად გამოიყოფა ეს იონები?

იბადება კითხვა, როგორ არის მოვლილი შოვი? ერთი შეხედვით „ყველაფერი რიგზეა“. შოვში არის სანატორიუმის ორი კორპუსი, დასასვენებელი სახლი, ტურისტთა ბაზა, ბიბლიოთეკა, სახაფხულო კინოთეატრი, კლუბი, ფოსტა-ტელეგრაფი, შემახასელი სალარო, ავტოსადგური, წყალსადენი, პურის საცხობი, კურორტზე საღამოობით უკრავს ჯაზორკესტრი.

მაგრამ შოვს კიდევ ბევრი რამ აკლია.

**დიდი** ხანია ფიქრობენ შოვის ზემო ნაწილში საკურორტო შენებლობის გაშლაზე. მაგრამ ჯერ კიდევ ახლოდან ქალაქზე რჩება პირველადელი პროექტით გათვალისწინებული 6 სანატორიუმის, 2 პანსიონატის, 5 საბანაკო კოტეჯის აშენება. ამ გრანდიოზულ პროექტს თავი რომ დავანებოთო, რატომ არ შეიძლება, რომ პირველ ხანებში ავაგოთ თუნდაც ერთი 100-საწოლიანი კეთილმოწყობილი სანატორიუმი? უნდა აღინიშნოს, რომ შოვში არის კიდევაც ერთი შესანიშნავი შენობა, რომელიც მოუვლელია, ინგრევა და ჩანგდება, აქ მხოლოდ წელიწადში ერთხელ, ისიც ერთი თვით ჩერდებიან ალპინისტები. ხომ შეიძლება, რომ ალპინისტებმა ეს ერთი თვე კარვებში გაატარონ, ხოლო შენობა დაუთმონ სანატორიუმს, რომელიც ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში ასობით მშრომელს მოემსახურება? ამას აუარდღება უნდა მიაქციოს საქართველოს პროფსაბჭოს საკურორტო სამმართველომ (უფროსი ს. ცომაია), მით უმეტეს, რომ არსებული სანატორიუმის კორპუსები ვერ აკმაყოფილებს დამსვენებელთა მოთხოვნილებებს.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, უახლოეს ხანებში უნდა გაიწმინდოს კურორტის ტერიტორია, ამოშრობილ იქნას დაჭაობებული ადგილები, მოხდეს კანალიზაციის სისტემის რეკონსტრუქცია, გამოყენებულ იქნას სასმელად ბუბის მთის ძირას, კურორტიდან სულ 3 კილომეტრის დაშორებით მდებარე მშვენიერი სასმელი წყარო, ე. წ. „კორის წყალი“.

უკანასკნელ ხანებში შოვის „სატრანსპორტო ცხოვრებაში“ მთელი მოვლენა მოხდა—შოვის თავზე გამოჩნდა ვერტმფრენი, რომელიც 40 წუთში ფარავს გზას ქუთაისიდან შოვამდე. მაგრამ, სამწუხაროდ, მფრინავები ფიქრობენ, რომ რაკი ჰაერში მათ არავინ არ ამოწმებს, ამდენად შესაძლებელია ვერტმფრენში 5-6 ზედმეტი მგზავრის (ბარგიანად) გადაყვანა, რაც ყოველად დაუძვებელია.

**ეჭვად** გაგვიტაცა შოვმა, მისმა სილამაზემ და კლიმატურმა პირობებმა. მაგრამ შოვზე მეტად მნიშვნელოვანი სამკურნალო ფაქტორების მქონეა კურორტი **უწერა**, რომელიც შოვს 15 კილომეტრით აოის დაშორებული. უწერა მაღალმთიანი ბალნეოლოგიური კურორტია, იგი შოვზე 600 მეტრით დაბალია (ძისი სიმაღლე ზღვის დონიდან 1.042 მეტრს უდრის). უწერა მდებარეობს მდინარე რიონის ხეობაში, შოდაკედელას ქედის სამხრეთ კალთაზე. უწერის მიდამოებში აოის ბევრი მინერალური წყარო, მათ შორის ცნობილია „გვეროთა № 1“, ე. წ. „კუმის წყალი“, „უწერის წყლების, „სუნნიანი“ (გაზისაგან) მიწის შესახებ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი გვაწვდის ცნობებს:

„ონის პირისპირ, — წერს იგი, — რიონის ჩრდილო, მთის კალთათა შინა არს ძეგლევეი... ამას ზეკით არს დაბა უწერა რიონს ორსავე კიდესა ზედა... აქვე არს მიწა, რომელსაც უწოდებენ სასუნებელად, რომელიც დავსწერეთ ქართლსაც, არამედ ეს უმეტეს ძალიანი, რამეთუ გადაფრენილი ფრინველი მასზე ჩამოვარდების სუნისაგან“.

ამჟამად ვახუშტის მიერ აღწერილი შემთხვევას—ფრინველს ჩამოვარდნას — არ ეხვდებით, მაგრამ უწერის წყლის გამოყოფას ახლაც ეს გაზის სუნი, რომლის შედეგიც არის „მიწაც სასუნებელი“, რაზედაც მოგვითხრობს ჩვენი ძველი ისტორიკოსი. უწერა დაცულია ქარებისაგან. შოვის მსგავსად, აქაც არის მზის უხვი ნათება, მაგრამ მთავარია უწერის წყლის სამკურნალო თვისებები. უწერის პატრიოტმა, პანსიონატის დირექტორმა ექიმმა გ. გრძელიშვილმა გატაცებით გვიამბო იმ პერსპექტივებზე, რასაც იძლევა უწერა ქრონიკული გასტრიტების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულების, ქრონიკული კოლიტების და ენტეროკოლიტების, ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთების, გულსისხლძარღვთა სისტემის, პერიფერიული ნერვული სისტემისა და მოძრაობის ორგანოთა, სახსრების, საშარდე გზების დაავადებათა სამკურნალოდ.

ჩვენ გვესმის მრავალრიცხოვან დამსვენებელთა გულისტკივილიც იმის გამო, რომ უწერა ჯერ კიდევ მეტად მოუწყობელია. კურორტზე მხოლოდ 50-საწოლიანი პატარა პანსიონატია, საქმისათვის კი აუცილებელია აქ მძლავრი კლინიკურ-დიაგნოსტიკური ცენტრის შექმნა. უკვე მომწიფდა საკითხი, რომ უწერაში აშენდეს 100-150-საწოლიანი სანატორიუმი და შეიქმნას სათანადო პირობები მკურნალობისათვის. ხოლო ამისათვის ჯერ თითქმის არაფერი არ გაკეთებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დაუმთავრებელ მინერალურ საბანაბანოს. უწერა კი ნამდვილად მეტის ღირსია.

აი რას წერს შთაბეჭდილებათა წიგნში ერთ-ერთი დამსვენებელი:

„მქონდა მუცლის ბერვა და ისეთი ყოუ ტკივილები, რომლებიც უცნობი იყო ჩემთვის. დაკკარგე ჭამის მადა. უკმაყოფილო და სევდიანი წამოვედი, რადგან გაუმჯობესების ვერ გვრძნობდი. მაგრამ მოხდა სასწაული: გამოწერიდან ერთი დღის შემდეგ მოისპო კუჭის ბერვა, აიწია კუჭის ძაკვიანობამ, მეტად გაუმჯობესდა საჭმლის მონელება. ამრიგად, მეც დავრწმუნდი, რომ უწერის წყალი სასწაულმოქმედი ყოფილა. დიდი მადლობა ქარგი მომსახურებისათვის“.

ასეთი ჩანაწერები წიგნში მრავლად გვხვდება. მაღლიერი ავადმყოფები თავისებურად გამოთქვამენ უწერაზე: „უწერა ჯანმრთელობის, სიცოცხლის ელექსირია“, „უწერა უკვდავების წყაროა“, „უწერის წყალი კურნავს არა მარტო კუჭს, არამედ მთელ ორგანიზმს, იგი დასცინის ავადმყოფობას“ და სხვ.

უწერა ამჟამად წელიწადში მხოლოდ 350 კაცს ატარებს. ეს კი ძალიან ცოტაა. ცხოვრება დღის წესრიგში აყენებს ისეთ საკითხებს, როგორიც არის უწერის რეკონსტრუქცია, კაპიტალური სანატორიუმის აშენება, კურორტის კინომომსახურება.

მომდინარე შვიდწლეულში დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს ჯანმრთელობის კერების კეთილმოწყობას. საქართველოს პროფსაბჭოს საკურორტო სამმართველომ უნდა იზრუნოს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს შესანიშნავ მაღალმთიან კურორტებს — ბალნეოკლიმატურ უწერას და კლიმატურ შოვს.

**ბორის ბახტაძე.**

**ხ**ილის უხვი მოსავალი მოიწიეს წელს გორის რაიონის სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის მებაღეებმა. არტელის ხეხილის ბაღებს 180 ჰექტარი ფართობი უკავია. თვითეული ჰექტარიდან მერეთელები საშუალოდ 50 და მეტ ცენტნერ სხვადასხვა ჯიშის ვაშლს იღებენ.

• • •

**სურათზე:** მოწინავე მკრეფავი ნათელა საბაშვილი.

ფოტო გ. კიკვაძისა და ი. დავითაშვილისა.
(საქდესის ფოტოკრონიკა).

## ჯ. გ. ჭიჭინაძე

**გარდაიცვალა კონსტანტინე (კონსტანტინე) გიორგის-ძე ჭიჭინაძე.** კ. ჭიჭინაძე დაბადებულია 1862 წელს ... (ახლანდელ ... ) ... (ჩხოროწყუს რაიონი).

საშუალო განათლების მიღების შემდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდან 1931 წლამდე კ. ჭიჭინაძე მუშაობდა პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებში პასუხსაგებ თანამდებობებზე.

1931 წელს კ. ჭიჭინაძე იგზავნება საკოლმეურნეო საბჭოში („კოლხოზცენტრში“) და დაუღალავად შრომობს კოლმეურნეობათა ჩამოყალიბება-განმტკიცებისათვის.

1934 წლიდან 1951 წლამდე კ. ჭიჭინაძე მუშაობდა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. იყო საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის მდივანი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მეცხოველეობის დარგში.

1954 წლიდან გარდაცვალებამდე იგი მუშაობდა საქართველოს სსრ მეორადი შავი ლითონის მთავარი სამმართველოს უფროსად.

კ. ჭიჭინაძე რამდენჯერმე იყო არჩეული აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოების დეპუტატად.

1928 წლიდან კ. ჭიჭინაძე იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, სამამულო ომისა და ორი წითელი ვარსკვლავის ორდენებით და მედლებით.

თავმდაბალი კომუნისტის კ. გ. ჭიჭინაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

### საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალები

**გროზნო.** ქალთა საკავშირო ნახევარფინალურ საჭადრაკო ჩემპიონატის მეათე ტურში ნ. გაფრინდაშვილმა დაამარცხა გრაჩოვა. მ. ტოგონიძე თამაშობდა ორავეს წინააღმდეგ და გაიმარჯვა. რუბცოვამ შპიკენესთან თავიდანვე მიაღწია უპირატესობას, ამით მსოფლიო ექს-ჩემპიონმა მოწინააღმდეგე აიძულა დანებებულიყო. კოზლოვსკაიამ გაიმარჯვა კოზულევასთან, ანიშჩენკომ — იშუტკინთან, ლიაპუნოვამ — ესტერკინასთან. კურე-ბრილოვას პარტია ყაიმით დამთავრდა.

ათი ტურის შემდეგ გაფრინდაშვილი 9 ქულით პირველ ადგილზეა. რუბცოვასა და ტოგონიძეს რვა-რვა ქულა აქვთ, კოზლოვსკაიას — 71/2 ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტური დარჩა. დღეს შეჯიბრების ლიდერი გაფრინდაშვილი ითამაშებს კოზლოვსკაიასთან, ტოგონიძე — ლიაპუნოვასთან, რუბცოვა — ანიშჩენკოსთან.

**კალინინი.** ქალთა საკავშირო ნახევარფინალურ საჭადრაკო ჩემპიონატში გათამაშებულია IX ტური. წარმატებით თამაშობს ბათუმელი მოჭადრაკე ალა ჩაიკოვსკაია. მას ხუთი შეხვედრის შემდეგ 4 ქულა ჰქონდა და პირველ ადგილზე იმყოფებოდა, მეცხრე ტურამდე ყველა პარტია მოიგო და უკანასკნელ ტურში უკეთეს მდგომარეობაში გადადო პარტია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ რუდენკოსთან.

ალა ჩაიკოვსკაიას ცხრა ტურის შემდეგ 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. იგი კვლავ პირველ ადგილზეა.

**უფგოროდი.** ქალთა საკავშირო ნახევარფინალურ საჭადრაკო ჩემპიონატში IX ტური დამთავრდა. ტურნირს ტიხომიროვა და ვოიცეკი ლიდერობენ. ქართველ მოჭადრაკეებს კაკაბაძეს 4,5 ქულა აქვს, ხოლო ბუცხრიკიძეს 2 ქულა.

### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

**სამარყანდში** გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში მოკავშირე რესპუბლიკების მეორე ზონის გუნდებისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ სამარყანდის „დინამო“ და რუსთავის „ბურევესტნიკი“. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1 : 0 მასპინძლების სასარგებლოდ.

### საერთაშორისო სპორტული შეხვედრები

**საბჭოთა** კავშირში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების გასამართავად იმყოფება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „შახტიორის“ ქალ და „ლოკომოტივის“ ვაჟ კალათბურთელთა ნაკრები გუნდები. სტუმრებმა პირველი შეხვედრა გამართეს კაუნასში. „შახტიორის“ წინააღმდეგ თამაშობდა ადგილობრივი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 57 : 57. ვაჟთა გუნდების სკიფისა და „ლოკომოტივის“ შეხვედრაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ ლიტველი სპორტსმენები. შეხვედრის ანგარიშია 71 : 51.

**ჩინელი** სპორტსმენები მეორე დღეს შეხვდნენ სპორტსაზოგადოება „ყალგრისის“ კალათბურთელებს. ქალთა გუნდების მატჩი დამთავრდა ანგარიშით 73-50 მასპინძლების სასარგებლოდ. ვაჟთა გუნდებს შორის გამართულ შეჯიბრებაში სტუმრებმა კვლავ განიცადეს დამარცხება ანგარიშით 75 : 74.

### ამინდი

23 და 24 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, აღმოსავლეთის ხუსტი ზომიერამდე, რიონის ხეობაში დროგამოშვებით ზომიერი ძლიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 10-15, დღისით 20-25 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 7-12, დღისით 15-20 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა, უმეტესად აღმოსავლეთ რაიონებში, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 9-14, დღისით 18-23 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 4-9, დღისით 12-17 გრადუსი.

**რედაქტორი**
**დ. მგელიშვილი.**

## ახალი ამბები, ფიქრები, ფოტოები

### მფრინავი ქალის ძეგლი

**ბათუმის** ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის მარადმწვანე ყვავილოვან ხეივანში დაიდგა პირველი აჭარელი მფრინავი ქალის ფაიდარ გოგიტიძის ძეგლი.

ძეგლის გახსნაზე თავი მოიყარა მრავალმა პიონერ-მოსწავლემ, რომლებმაც იგი თაიგულებით შეამკეს. სახელოვანი აჭარელი ქალის საინტერესო ცხოვრებაზე შეკრებილთ მოუთხრო პიონერთა პარკის პედაგოგმა გ. ქერქაძემ.

ფოტო რ. ბოლქვაძისა.

### ყაზბეგის ყინულეგში

**ყაზბეგის** ტურბაზაში გამყოლად მუშაობს გიორგი ბურდული, რომელსაც ტურისტები ემადლიერებიან კარგი მუშაობისათვის. ამას წინათ 79-ე მარშრუტის ტურისტმა; ხარკოველმა ინჟინერმა ლობჩინენკომ ყაზბეგის ყინულებში ფაკრგი ფოტოაპარატი „ლენინგრადი“. იგი ყინულის ნაპრალთან, იპოვნა გ. ბურდულმა. მან იფიქრა, ფოტოაპარატის პატრონი ნაპრალებში ჩავარდებოდაო, და გულდასმით დაათვალიერა მიდამო, მაგრამ უბედური შემთხვევის რაიმე კვალი ვერ აღმოაჩინა. მაშინ ნაპოვნი ფოტოაპარატი ტურბაზაში მიიტანა, სადაც მალე დადგინეს, ვის ეკუთვნოდა იგი.

გიორგი ბურდულის სახელზე ხარკოვიდან მოვიდა გულთბილი წერილი, რომელშიც ლობჩინენკო მადლობას უხდის კეთილშობილ ადამიანს.

**შ. ხეთაგური.**

### ვინ მოიგო „ვოლგა“

**21 სექტემბერს** რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა ცხრილი საქართველოს სსრ 1960 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის მესამე გამოშვების მოგებათა ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 15-16 სექტემბერს ქალაქ რუსთავში.

გაზეთების ვიტრინებთან და საგაზეთო კიოსკებთან დიდი გამოცოცხლეაა. თვითეულს იმედი აქვს „იღბლიანი“ ბილეთის პატრონი იყოს და დიდი მოგება ხვდეს...

ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში გამოცხადდა ყველაზე „იღბლიანი“ თბილისელი, რომელმაც წარადგინა ლატარიის 45665 სერიის ბილეთი № 233. ამ ბილეთს ხვდა 40.000 მანეთის ღირებულების ავტომანქანა „ვოლგა“. ბილეთის მფლობელი აღმოჩნდა საქსურტრესტის მუშაკი დიმიტრი ვასილის-ძე კენკებაშვილი. შემნახველი სალაროს მუშაკის კითხვაზე მან განაცხადა, რომ ლატარიის რამდენიმე ბილეთი იყიდა თბილისში საბჭოს ქუჩაზე პურის № 11 მაღაზიაში. ბილეთი მიღებულია, და უახლოეს დღეებში დიმიტრი კენკებაშვილს მიეცემა ავტომანქანა „ვოლგა“.

შემნახველ სალაროებს მიმართავენ მოქალაქენი, რომლებსაც ხვდათ სხვადასხვა ნივთები და ფულადი მოგება.

მოგებათა გაცემა ყველგან იწარმოებს 1961 წლის 30 ივნისამდე.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო მეოთხე გამოშვების ლატარიის ბილეთების გაცხოველებული გაყიდვა. მოგებათა ტირაჟი გაიმართება 1960 წლის 30 ნოემბერს ქალაქ თბილისში.

**ა. შტეინბერგი,**
**საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახურეფიდის სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსი.**

### მეგობართა შეხვედრა

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). ათი წელია გრძელდება და სულ უფრო ფართოვდება ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სამი ქალაქის — ლენინაკანის, კიროვაბადისა და ქუთაისის მშრომელთა ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება.

მეგობრები პერიოდულად აწყობენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას. სწორედ ამ მიზნით ეწვია ქუთაისს ამ დღეებში კიროვაბადის მშრომელთა დელეგაცია.

კიროვაბადელებმა ქუთაისში ხუთ დღეს დაპყეს. სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ ქალაქის საწარმოთა მუშაობას.

ქუთაისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომლის მუშაობაში სტუმრებიც მონაწილეობდნენ, განიხილეს ორივე ქალაქის მშრომელთა მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის საკითხი, შეაჯამეს მიმდინარე წლის რვა თვის მუშაობის შედეგები.

### ახალი ამბები

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**აცხადებს: 1960 წლის 1 ოქტომბრიდან იხსნება მოსამზადებელი კურსები** იმ პირთათვის, რომლებსაც სურთ შესვლა უმაღლეს სასწავლებლებში დღის, საღამოს ან დაუსწრებელ განყოფილებებზე.

კურსებზე მიიღებიან: ა) საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის ან კულტურის სხვადასხვა დარგში; ბ) აგრეთვე ის პირები, რომლებიც 1958 წლის შემდეგ დემობილიზებული არიან საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტის რიგებიდან.

**მეცადინეობა იწარმოებს კვირაში სამჯერ,** საღამოს 7-11 საათებში. კურსები იმუშავებს სამეურნეო ანგარიშით.

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება** ყოველდღე 2 საათიდან 5 საათამდე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, კალინინის რაიონი, მახარაძის ქ. № 4, 39-ე საშუალო სკოლა. ტელ. № 3-57-81.

**თბილისის კუშკინის სახელობის სახელმწიფო კედლგაზეთურ ინსტიტუტში**

**სახელმწიფო გამოცდები მოეწყობა მიმდინარე წლის 1-დან 30 ოქტომბრამდე.**

გამოცდაზე დაშვების შესახებ განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე არაუგვიანეს 25 სექტემბრისა.

### 22 სექტემბერი

**თეატრები:** ამერიკული ბალეტის თეატრის გასტროლები — პირველი პროგრამა (ოპერისა და ბალეტის თეატრი). **რუსთაველის სახელობის** — ესპანელი მოდელი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ფერი, **გრიბოედოვის სახელობის** — გაზაფხულის ვიოლინოები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პეტკა კოსმოსში (აბ. № 31, 10 ს.). გიჭორი (აბ. № 44, 5 ს.), **თოჯინების ქართული** — ტყის საათი (11 ს.), მზე-ჭაბუკი (2 ს.).

**ტელევიზია:** 19.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ჩვენი ნაცნობი მსახიობები“ (რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დარისპანაშვილი), 19.35 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.50 — საერთაშორისო მიმოხილვა, 20.10 — კონცერტი, 20.35 — ახალი ამბები, 20.45 — გადაცემა „ჩვენი ოლიმპიელები“, 21.00 — მხატვრული ფილმი — „ჩრდილდნები საზღვარზე“.

**საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი**

**აცხადებს კონკურსს ალაზნის საცდელ-სამელიორაციო სადგურის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:**

I. **ნიადაგმელიორაციის განყოფილებაში:** უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი—მეცნიერებათა კანდიდატი ან 2 წელზე მეტი საწარმოო სტაჟის მქონე ინჟინერი-მელიორატორი, აგრონომი-ნიადაგმცოდნე, ქიმიკოს-ანალიტიკოსი — სულ 3 ადგილი.

II. **აგროტექნიკის განყოფილებაში:** აგროტექნიკის განყოფილების გამგე — მეცნიერების კანდიდატი, 1 ადგილი; უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — მეცნიერების კანდიდატი, 2 ადგილი; უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — მეცნიერების კანდიდატი ან 2 წელზე მეტი საწარმოო სტაჟის მქონე აგრონომი (ბემინდვრე, მევენახე-მეშვაღე, მელიორატორი), 3 ადგილი.

III. **მექანიზაციის განყოფილებაში:** მექანიზაციის განყოფილების გამგე — მეცნიერების კანდიდატი, 1 ადგილი; უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — მეცნიერების კანდიდატი ან 2 წელზე მეტი საწარმოო სტაჟის მქონე აგრონომი-მექანიზატორი, 1 ადგილი.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში—ილია ჭავჭავაძის პრ. № 60.

**კონკურსის ვადაა ერთი თვე** დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

**ქუთაისის ალ. ფულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება**

**სტუდენტთა** საყურადღებოდ **აცხადებს,** რომ 25 სექტემბერს, 23 ოქტომბერს, 20 ნოემბერს და 18 დეკემბერს ბათუმის, სოხუმის, ზესტაფონისა და ცხაკაიას სარაიონთაშორისო საკონსულტაციო პუნქტებში, 2 და 30 ოქტომბერს, 13 ნოემბერსა და 11 დეკემბერს ქუთაისში **დანიშნულია საკვირაო კონსულტაციები.**

კონსულტაციები მოეწყობა ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში პედინსტიტუტების, ხოლო ზესტაფონსა და ცხაკაიაში მეორე საშუალო სკოლების შენობებში.

კონსულტაციები გაიმართება სტუდენტთა მიერ მიღებული ცხრილების მიხედვით. ცხრილს გაცნობა შეიძლება აგრეთვე საკონსულტაციო პუნქტების გამგეებთან.

კონსულტაციები დაიწყება ქუთაისში დილის 10 საათიდან, ხოლო საკონსულტაციო პუნქტებში — 11 საათიდან.

23 ოქტომბერს კონსულტაციები ნაცვლად სოხუმისა გაიმართება ქ. ზუგდიდში, პირველი საშუალო სკოლის შენობაში.

**აკადემიური დავალიანების ლიკვიდაციისათვის გამოცდები მოეწყობა** ქუთაისის პედინსტიტუტში 23 სექტემბერს, 15 ოქტომბერსა და 12 ნოემბერს. სტუდენტები, რომლებიც 15 ნოემბრამდე არ მოახდენენ აკადემიური დავალიანების ლიკვიდაციას, დატოვებული იქნებიან ამავე კურსზე.

**ჩვენი მისამართი და ტელეფონები:**

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშ